გაზეთი ბევრის, „ვერსიის“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№9 (904) 7 - 9 თებერვალი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

ქონების გადასახადის გადამხდელ პირებს ახალ პაკეტს სთავაზობს

პირადი ბანკირის ერთწლიანი უფასო მომსახურება და უპრეცედენტო მაღალი საკრედიტო ლიმიტი

ნესტან კირთაძის სკანდალური მიმართვა ბიძინა ივანიშვილს



ბიძინას ავიწყდება, რომ თავისუფალი ქართული მედია ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაიბადა. შესაძლოა, გარკვეული ნაწილი ვიღაცის მიმართ სიმპათიით ან ანტიპათიითაა განწყობილი, თუმცა მედია ყოველთვის ცდილობდა, საზოგადოებისთვის მართალი სიტყვა მიეწოდებინა. როცა ქუჩაში დარბევა იყო, პოლიტიკოსები გარბოდნენ, პროცესებს სახლიდან აკვირდებოდნენ, ჟურნალისტები კი ხელკეტებს არ უშინდებოდნენ. იმდენი ხანია პოლიტიკაში ვარ, ცოცხალ მემატიანედ ვიქეცი. უამრავი დარბევა მინახავს, თუმცა გაქცეული ჟურნალისტი — არასოდეს! ბიძინა, ამ ჟურნალისტებს ეუბნები, რომ კითხვის დასმა და მოქალაქეობა უნდა ასწავლო? — არა, ჯერ თავად ისწავლე ეს ყველაფერი. ილიას სიტყვებს რომ იშველიებ, მის ტყავში ერთი დღე მაინც უნდა ისუნთქო. მილიარდები რომ გაქვს, საგურამოსთან ილიას ძეგლი ასეთ პირობებში უნდა იყოს? თავისუფალ მოქალაქეობაზე ილიას ციტატის გახმოვანება არ ნიშნავს, საკუთარ თავსაც თავისუფალი მოქალაქე უწოდო. სამწუხაროდ, ბიძინას ოცნება და ჩემი სამშობლოს მომავალი იდენტური არ არის!

გვ. 3

საავტომობილო გზების ტენდერების სკანდალის გაუხმაურებელი დეტალები

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე და სატენდერო კომისიის თავმჯდომარე იოსებ ქადაგიშვილი ნაციონალურ მოძრაობას სასამართლოში უჩივის

გვ. 5

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

„საქართველოს ბანკი“ IFC-სგან 65 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციას მიიღებს

ბესიკ ხარძიანი — დაზარალებული ბიზნესმენი თუ კრიმინალი, თაღლითი და მოროდიორი?

გვ. 4

„ჩემი მიზანია, საქართველოში, სისხლის დეფიციტის გამო, ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე არასოდეს შეექმნას“

სისხლის ბანკი — ბიზნესმენ ნაფალი კვანტალიანის „ღვთიური საქმე“

გვ. 7

სალომე შელიას ფინანსური რჩევები

თიბისი ბანკი TBC BANK

7 თებერვლიდან — თიბისი ბანკის ახალი პროექტი

შალვა ნათელაშვილი თბილისის მერის პოსტისთვის იბრძოლებს?

ეკა სეხნიაშვილი

ლეიბორისტების ლიდერი ყოფილი პრემიერისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური „მუზაა“. „ჰარი პოტერად“ მონათლული შალვა ნათელაშვილი მუდმივად ივანიშვილის კრიტიკის ობიექტია.

„ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, ნათელაშვილი ივანიშვილს კიდევ ერთ სიურპრიზს უმზადებს და ფიქრობს, თავისი კანდიდატურა მერის არჩევნებში დააყენოს. წყარო გვიმტკიცებს, ამას ბატონი შალვა საჯაროდ კი უარყოფს, მაგრამ პრივატულ საუბრებში არ მალავს და ამაზე ხშირად ლაპარაკობსო. საბოლოო გადაწყვეტილება, ნომერპირველ ლეიბორისტს, ჯერჯერობით, არ მიუღია — წყაროს ცნობით, ჯერ იმას ადევნებს თვალს, სხვა პარტიები ამ პოსტზე ვის კანდიდატურებს წარადგენენ, სამაგიეროდ, უკვე გადაწყვეტილია, რომ ლეიბორისტულ პარტიას დამოუკიდებლად აუცილებლად ეყოლება თავისი კანდიდატი, რომელიც თბილისის მერის პოსტისთვის იბრძოლებს.

ადგილობრივ არჩევნებში კი ლეიბორისტები, ტრადიციულად, დამოუკიდებლად იბრძოლებენ. გიორგი გუგავამ უკვე განაცხადა, რომ პარტია ტოვებს ინტერფრაქციულ ჯგუფს და ხელისუფლებასთან ყველანაირ მოლაპარაკებას ეთიშება. გუგავას განცხადებით, უსუფაშვილთან მისვლა-მოსვლასა და ჟღურტულს არანაირი აზრი და შედეგი არ აქვს, რადგან ეს უკანასკნელი ვერაფერს წყვეტს და ყველა საკითხი სხვაგან, ნარიყალას სასახლეში წყდება. **„ხათუნა გოგორიშვილის მიერ დაწერილი დრაკონული საარჩევნო კანონი ივანიშვილის მთავრობამ ჩოხასავით მოირგო და აპირებს ამ ფორმით მომავალი არჩევნების გაყალბებას. ოფიციალურად ვტოვებთ ინტერფრაქციულ ჯგუფს და შედეგებზე სრულ პასუხისმგებლობას ვაკისრებთ დღევანდელ მთავრობას“,** — აცხადებს გუგავა.

რაც შეეხება მერის პოსტზე შალვა ნათელაშვილის კანდიდატურის დაყენებას, გიორგი გუგავა „ვერსიასთან“ საუბარში ამ ინფორმაციას არ ადასტურებს, თუმცა ამბობს, რომ **„ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, ლეიბორისტებს საკუთარი, საკმაოდ წონიანი დამოუკიდებელი კანდიდატი აუცილებლად ეყოლებათ და სხვა პარტიების კანდიდატებს მხარს არ დაუჭერენ“.**

ქართული დელეგაცია სოჭში გაემგზავრა

სპორტსმენებს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი ახლავს. დელეგაცია სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა, ლევან ყიფიანმა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ევრაზიის კავშირის“ წევრებმა გააცილეს. ოლიმპიადაში სულ ოთხი ქართველი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის სამი მოთხილამურე — ნინო წიკლაური (მედროშე), იასონ აბრამიშვილი, ალექსი ბენიამიძე და მოციგურავე ელენე გედევანიშვილი, რომელიც დელეგაციას მოგვიანებით კანადიდან შეუერთდება. **„გარკვეულწილად, სპორტსმენებზე მოქმედებს ეს ზედმეტი აჟიოტაჟი, მაგრამ მათ აქვთ თავიანთი საქმე, ვფიქრობ, თვითმფრინავში ჩასხდომისთანავე, ეს პრობლემები მოიხსნება და მეტი ყურადღება იქნება გადატანილი სპორტულ შედეგებზე“,** — აცხადებს ყიფიანი.

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე კი, კიდევ ერთხელ ამცნობს საზოგადოებას, რომ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები სოჭში არ მიემგზავრებიან. ფანჯიკიძე იმედოვნებს, რომ, ზოგადად, ოლიმპიურ თამაშებს რუსეთი პოლიტიკური მიზნებისთვის არ გამოიყენებს.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს თემურ მღებრიშვილი უხელმძღვანელებს

თემურ მღებრიშვილმა ამ თანამდებობაზე ანზორ ჩუბინიძე შეცვალა, რომელმაც პირადი განცხადების საფუძველზე, გათავისუფლების შესახებ პრემიერ-მინისტრს 22 იანვარს მიმართა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ანზორ ჩუბინიძეს მადლობა გადაუხადა გაწეული მუშაობისთვის და წარმატებები უსურვა შემდგომ საქმიანობაში.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნამდე, თემურ მღებრიშვილი მუშაობდა შსს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სტრატეგიული ობიექტების დაცვის დეპარტამენტის დირექტორად და აღნიშნულ სტრუქტურაში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობის 18-წლიანი გამოცდილება აქვს.

„პია.გე“

შსს-მ საგარეჯოს რაიონში განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული, წარსულში ორჯერ ნასამართლევი ზურაბ ტ. განზრახ მკვლელობის, ხოლო 1967 წელს დაბადებული, ასევე წარსულში ნასამართლევი ანდრია შ. დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ზურაბ ტ-მ 2014 წლის 2 თებერვალს, ღამით, საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში, ანდრია შ-ს საცხოვრებელ სახლში, 1971 წელს დაბადებულ თეონა ც-ს ურთიერთშელაპარაკებისას სხეულის დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. თეონა ც. მიყენებული დაზიანებებისგან რამდენიმე საათში გარდაიცვალა. დანაშაულს შეესწრო ანდრია შ, რომელმაც მომხდარის შესახებ პოლიციას არ შეატყობინა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ზურაბ ტ. სოფელ სარფში, ხოლო ანდრია შ. თელავში დააკავეს.

ზურაბ ტ. აღიარებს დანაშაულს.

გამოძიება ზურაბ ტ-ს მიმართ განზრახ მკვლელობის, ხოლო ანდრია შ-ს მიმართ დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე და 376-ე მუხლებით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო



შინაგან საქმეთა სამინისტროს წყალტუბოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით 1994 წელს დაბადებული ვასილ ჯ. წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 0,73 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,3285 გრ ჰეროინს შეიცავს.

ნარკოლოგიური შემოწმებით ბრალდებულს ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

დაკავებული აღიარებს დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

მსუბუქი ავტომობილის სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება მაქსიმუმ 48 ლარი ეღირება

შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორის, ოთარ დანელიას ინფორმაციით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური შემოწმების პრაქტიკა საქართველოში ჩვეულებრივ მოქმედებს, თუმცა მსუბუქი ავტომობილებისთვის აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა სავალდებულო არაა: **„ტექნიკური დათვალიერება სავალდებულოა მხოლოდ ავტობუსებისა და მძიმეწონიანი ავტომობილებისთვის და ეს მომსახურება სხვადასხვა კატეგორიის ავტომობილის მიხედვით 48-დან 102 ლარამდე ღირს. ის სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება, რომელიც 2015 წლის 1 მარტიდან შევა ძალაში, იმაზე ძვირი არ ეღირება, ვიდრე დღესაა. მსუბუქი ავტომობილისთვის ამ მომსახურების საფასური მაქსიმუმ 48 ლარი იქნება. მთელი ბიზნესგეგმა იმ გარემოებიდან გამომდინარე ავაწყეთ, რომ მომსახურების ფასი არ გაიზარდოს“.**

დანელიასვე თქმით, ჯერჯერობით, დაუდგენელია, რა პერიოდულობით მოუწევთ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს სავალდებულო ტექნიკური დათვალიერებით სარგებლობა. რაც შეეხება, სტანდარტებს, რომლებსაც ავტომობილი უნდა აკმაყოფილებდეს, დანელიას თქმით: **„მაგალითად, თუ ავტომობილი „ევრო 1“-ის სტანდარტითაა გამოშვებული, არ აქვს მნიშვნელობა, რომელწლიანია, სწორედ „ევრო 1“-ის სტანდარტები უნდა დააკმაყოფილოს. ეს რთული არ არის — 2013 წლის ოქტომბერ-ნოემბერში სპონტანური შემოწმება ჩატარდა და 14 ავტომობილიდან მხოლოდ ერთმა ვერ დააკმაყოფილა საერთაშორისო სტანდარტები. ახალს არავინ არაფერს იგონებს“.**

დანელიას ინფორმაციით, საქართველოში დღეს ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების მომსახურების 24 ობიექტი მოქმედებს.

„პია.გე“

ნესტან კირთაძის სკანდალური მიმართვა ბიძინა ივანიშვილს

ეროსუდან შელია
557-100-768

2014 წლის ზამთრის ოლიმპიადა იწყება — საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ძირითადი შემადგენლობა სოჭში 6 თებერვალს გაემგზავრა, თუმცა დიდი ხანია, საქართველოში ოლიმპიადის თემა სპორტულ საზღვრებს გასცდა და პოლიტიკურ კონტექსტში აქტიური კამათის საგნად იქცა. ნაწილი სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირებას აქციებით ითხოვდა, ნაწილი კი პრაგმატულ საგარეო დიპლომატიაზე აპელირებდა... და მაინც, რა პოლიტიკურ შედეგს მიიღებს ქართული მხარე სოჭში გამგზავრებით და შეიცვლება თუ არა რუსული პოლიტიკა კავკასიაში, „ვერსიას“ „ქართულ-აფხაზური და ოსური საერთაშორისო მოძრაობის“ ლიდერი, ისტორიკოსი, ანალიტიკოსი ნესტან კირთაძე ესაუბრება.

— საქართველოს ხელისუფლებას სოჭის ოლიმპიადის მიმართ სახელმწიფოებრივი ინტერესები მკაცრად უნდა დაეფიქსირებინა. ოლიმპიადა სპორტული ღონისძიებაა, თუმცა ის ჩვენი სამშობლოს ოკუპანტ ქვეყანაში იმართება. სამწუხაროდ, ხელისუფლებას ადეკვატური რეაქცია ახალ მავთულხლართებზეც კი არ დაუფიქსირებია, შესაბამისად, „ქართული ოცნება“ იმდენად კომპრომისული, კომფორმისტული, ხარბი, ანტისახელმწიფოებრივი და არაპროფესიონალია, რომ სოჭის ოლიმპიადის მიმართ მათი დამოკიდებულების შეფასება მიჭირს.

— საგარეო საქმეთა სამინისტრო ქართული მხარის შერბილებულ პოლიტიკაზე პასუხს ოლიმპიადის შემდეგ ელის, ბიძინა ივანიშვილიც აცხადებს, რომ სოჭში სპორტსმენების გაგზავნა რუსეთთან ურთიერთობის დალაგების ერთ-ერთი საშუალებაა. თქვენ რა არგუმენტები გაქვთ ამ განცხადებების წინააღმდეგ?

— ეს სიყალბე და უმეცრებაა! სოჭი ქართულ-რუსულ ურთიერთობებში ათვლის წერტილი არ არის და კავშირი რუსეთის ფედერაციის მსუყე ინტერესებთანაც არ აქვს. ხელისუფლების გადაწყვეტილება, ოლიმპიადაში სპორტსმენების გაგზავნასთან დაკავშირებით, ჰუმანიტარულ აქციას გავს, რაც მათ არაპროფესიონალიზმზე კიდევ ერთხელ მეტყველებს. სოჭში ზამთრის თამაშების შემდეგ, საქართველო სულ სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდება — რუსეთი ჩვენს მიმართ იმაზე ბევრად ხისტი და მომთხოვნი გახდება, ვიდრე ოდესმე ყოფილა!

— როცა ასოცირების ხელმოწერამდე რამდენიმე თვეა დარჩენილი, რუსეთის ხისტი პოლიტიკის წინააღმდეგ ქართული მხარისგან ადეკვატური პასუხის მოლოდინი არ გაქვთ?

— რუსეთის პოლიტიკური მადა ასოცირების ხელმოწერისთვის ხელშემშლელი იქნება. სამწუხაროდ, ხარბი მთავრობა გვყავს, რომელიც მხოლოდ პირად კეთილდღეობაზეა ორიენტირებული. 20 წელზე მეტია დიდ პოლიტიკაში ვარ. მის კულისებს შესანიშნავად ვიცნობ, თუმცა მსგავსი ტიპის კომფორმიზმი ჯერ არ მახსენდება.

„ქართულ ოცნებას“ სახელმწიფო ინტერესების დასაცავად განსაკუთრებული და ჩამოყალიბებული პოზიცია არასოდეს ექნება. მათთვის მთავარია, ზედაპირზე დარჩნენ და ზუსტად იცოდნენ, დილით ბიძინა ივანიშვილი რომელ ფეხზე ადგა, როდის გაეღიმა ან რამდენ მილიონს გადაურიცხავს პირად ანგარიშზე.

მათი ფრაზები — ევროპეისტები ვართ, ასოცირებულ ხელშეკრულებას ხელს აუცილებლად მოვაწერთ, ეს პროცესი შეუქცევადია, მერწმუნეთ, მხოლოდ ლექსიკური სამკაულებია. სინამდვილეში, მმართველ გუნდს გააზრებულიც არ აქვს, სახელმწიფო რა მიმართულებით წავიდეს.

— თუმცა, ირაკლი ღარიბაშვილმა დასავლეთში საკმაოდ მაღალი დონის შეხვედრები გამართა. ანდერს ფოგ რასმუსენისგანაც მოვისმინეთ — საქართველოში უფრო მომწიფებულ დემოკრატიას ვხედავთო.

— საქართველომ ევროპული არჩევანი საუკუნეების წინ განსაზღვრა, ბოლო ოცი წელი კი ამ პროცესს თაობები და ლიდერები შეეწირნენ. რა უფლება აქვს ირაკლი ღარიბაშვილს ან რომელიმე ჩინოვნიკს, სხვა ალტერნატივაზე ისაუბროს?! კონფერენციაზე უკრაინის ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერსა და პრეზიდენტობის კანდიდატ ვიტალი კლიჩკოს სიტყვით გამოსვლისას მთელი ევროპა ფეხზე წამოდგა, მსგავსი მხარდაჭერა ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ არავის დაუფიქსირებია. გარკვეულწილად ეს, ალბათ, მოსალოდნელიც იყო, რადგან დასავლეთის ყურადღება ახლა უკრაინისკენაა მიმართული. არადა, სოჭის ოლიმპიადის ფონზე, ყველა მაღალი დონის შეხვედრაზე საქართველო, მისი ტერიტორიებისა და დაშლილი სახელმწიფოს გამო, აქტუალური განხილვის საგანი უნდა გამხდარიყო, თუმცა „ქართულმა ოცნებამ“ მოახერხა და ქვეყანა ევროპელებისთვის მეასეხარისხოვან ინტერესად აქცია. იანუკოვიჩიც ზუსტად იგივე განცხადებებს აკეთებდა. მეტიც, ცინიკურად, ევროკავშირის დროშის ფონზე, პრემიერ-მინისტრთან ერთად, ევროპული გზის შეუქცევადობაზე საუბრობდა, თუმცა ყველამ კარგად ვნახეთ, მოვლენები როგორ განვითარდა.

— რის საფუძველზე ავლებთ პარალელს იანუკოვიჩსა და ირაკლი ღარიბაშვილს შორის?

— თბილისში უკრაინის მოვლენები თბილისური ინტერპრეტაციით აუცილებლად განმეორდება — ხალხი ქუჩაში გამოვა და, შესაძლოა, მთავარ ლოზუნგად ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა იქცეს. ეს ბევრად საშიში პროცესი იქნება, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია. გაღატაკებულ და მშიერ ხალხს ველარავინ შეაჩერებს.

დასასრული მე-4 გვერდზე

ლიბერთი ბანკი ქონების გადასახადის გადამხდელ პირებს ახალ პაკეტს სთავაზობს

პირადი ბანკირის ერთწლიანი უფასო მომსახურება და უპრეცედენტოდ მაღალი საკრედიტო ლიმიტი

ლიბერთი ბანკი ქონების გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირებს მომსახურების სრულიად ახალ, სპეციალურად მათ ინტერესებზე მორგებულ პაკეტებს სთავაზობს. ლიბერთი ბანკის დირექტორის, სანდრო რთველაძის განცხადებით, ამიერიდან, მხოლოდ ქონების დეკლარაციის წარდგენის საფუძველზე, მომხმარებელს საშუალება ეძლევა, დაბალპროცენტიანი საკრედიტო ბარათი, მაღალი საპროცენტო ლიმიტით მიიღონ. მეტიც, ქონების გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირები, ლიბერთი ბანკის პირადი ბანკირის მომსახურებით, ერთი წლის განმავლობაში, სრულიად უფასოდ ისარგებლებენ.

ლიბერთი ბანკის დირექტორმა, **სანდრო რთველაძემ** აღნიშნა, რომ ახალი შეთავაზების ძირითადი უპირატესობებია უპრეცედენტოდ დაბალი საპროცენტო განაკვეთი — წლიური 20%-ით, უპრეცედენტოდ მაღალი საკრედიტო ლიმიტი და ლიბერთი ბანკის პირადი ბანკირის ერთწლიანი, უფასო მომსახურება:

„ქონების გადამხდელ ფიზიკურ პირებს, ლიბერთი ბანკმა კიდევ ერთი სიახლე შესთავაზა. კონკრეტულად, ეს არის საკრედიტო ბარათი, რომლის აღება შესაძლებელია მხოლოდ 2013 წლის ქონების დეკლარაციის წარდგენის საფუძველზე. ქონების გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირები, დამატებით მიიღებენ Visa Infinite-ის ტიპის პრემიალურ ბარათს, რომელსაც მიმდინარე ანგარიშზე დაერიცხება სარგებელი ლარში — წლიურ 10%-მდე, ხოლო დოლარში — წლიურ 7%-მდე. იპოთეკური სესხების შემთხვევაში, წლიური განაკვეთი დაიწყება 10.25%-დან — ლარში, ხოლო ის მომხმარებლები, რომლებიც ხშირად მოგზაურობენ, შეუძლიათ ისარგებლონ Priority Pass / Priority Traveller უპირატესობებით. გარდა ამისა, მომხმარებლები მიიღებენ 50%-მდე ექსკლუზიურ ფასდაკლებებს საქართველოში — www.cheap.ge-ში ჩართულ სავაჭრო და მომსახურების 100-მდე ობიექტში. განაცხადების შევსება ბევრად გამარტივდა, მომხმარებლებს შეეძლებათ, განაცხადები ონლაინრეჟიმში, ლიბერთი ბანკის პირადი მომსახურების ვებგვერდზე — www.libertywealth.ge-ზე შეავსონ“.

სანდრო რთველაძის განცხადებით, ქონების გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირები, ძირითადად, საკრედიტო ან შემნახველი პროდუქტებით სარგებლობენ. შესაბამისად, უპირატეს პირობებს მიიღებენ ყველა სახის პროდუქტზე:

„თუ სესხი დასჭირდებათ, შეუძლიათ, დაბალი საპროცენტო განაკვეთის საკრედიტო ბარათით ისარგებლონ, მიიღონ იპოთეკური სესხით, რომელსაც ასევე დაბალი საპროცენტო განაკვეთი დაერიცხება. იმ მომხმარებლებს, რომლებსაც ზედმეტი სახსრები აქვთ და მათი განთავსება ვადიან, ან მიმდინარე ანგარიშებზე სურთ, შეუძლიათ, ძალიან მაღალი საპროცენტო განაკვეთებით ისარგებლონ. კერძოდ, ვადიან ანაბარზე — 12%-დან 18%-მდე, ხოლო მიმდინარე ანგარიშზე, საპროცენტო სარგებელი ლარში — 10%-მდე, დოლარში — 7%-მდე დაერიცხებათ“.

სანდრო რთველაძის განმარტებით, ლიბერთი ბანკის ახალი პროდუქტი, სხვა კომერციული ბანკების ამ ტიპის პროდუქტებისგან იმით განსხვავდება, რომ ასეთი საკრედიტო ლიმიტის მიღება საკმაოდ მარტივად, მხოლოდ დეკლარაციის საფუძველზეა შესაძლებელი. ქონების გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირებს, ლიბერთი ბანკში დამატებით დოკუმენტებს არ მოსთხოვენ და მომხმარებელი პასუხს ერთი დღის განმავლობაში მიიღებს:

„ჩვენს ვებ-ვერდზე შეუძლიათ, შეავსონ განაცხადი და ატვირთონ მათი ქონების დეკლარაცია. ერთი დღის განმავლობაში, მათ დაუკავშირდება პირადი ბანკირი და საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილებას გააცნობს“.

მაია მიშელაძე

ბესიკ ხარძიანი — დაზარალებული ბიზნესმენი თუ კრიმინალი, თაღლითი და მოროდიორი?

ლაშა კიკნაძე

კუს ტბა კიდევ ერთხელ ხდება ბიზნესდავის საგანი. ბიზნესმენი ბესიკ ხარძიანი ნაციონალების დროს მის პატიმრობას, გია უდესიანის კუს ტბასთან დაკავშირებულ ინტერესს უკავშირებს. მედიასთან იგი აცხადებდა, რომ ნარკოტიკები ძალით მიაღებინეს, ამის საფუძველზე დაიჭირეს, ხოლო რეალურად, მისი პატიმრობა კუს ტბის წილის დასათმობად იყო გამიზნული. გუშინ კი გაიმართა სპეციალური პრესკონფერენცია, რომელზეც კუს ტბის ყოფილმა მფლობელებმა — ილია კაკაბაძემ და რამაზ გიორგობიანმა ბესიკ ხარძიანი და მომღერალი ბუბა კიკაბიძე კრიმინალსა და თაღლითობაში დაადანაშაულეს.

„ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ სამართლიანობის აღსადგენად და ასევე იმისთვის, რომ ყველამ დაინახოს ვითომ დაჩაგრული და დაბეჩავებული ბესიკ ხარძიანის ნამდვილი სახე. ის ბიზნესმენი არ არის, ტიპური თაღლითი და კრიმინალია. მან, წინა ხელისუფლების „კრიშის“ იმედად, შეიმუშავა ჩვენი „გადაგდების“ გეგმა, დააშინეს და მოისყიდეს ყველა და ყველაფერი და ჩვენივე დაფუძნებული კომპანიიდან გაგვაგდო“, – ამბობს კუს ტბის ყოფილი მეწილე ილია კაკაბაძე, რომელმაც, მისივე თქმით, შპს „კუს ტბა“ 1995 წელს ჩამოაყალიბა და კუს ტბის ტერიტორიას იჯარის უფლებით მართავდა.

„გვინდოდა კუს ტბის განვითარება და ვეძებდით ინვესტორს. გამოჩნდა ბუბა კიკაბიძე, რომელმაც თავზე აიღო ვალდებულებები, მაგრამ ვერაფერი შეძლო, რეალურად. მის ნაცვლად გამოჩნდა ეს ხარძიანი, რომელმაც აგვავსო დაპირებებით და შევთანხმდით, რომ მათი ინვესტიციების შესაბამისად, ისინი გახდებოდნენ მეწილეები. მეწილეები გახდნენ, თუმცა ინვესტიცია არ ჩანდა. მეწილეები გახდნენ, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ოქმების გაყალბების გზით. ვინ იფიქრებდა, ეს ხალხი ასე უნამუსოდ თუ ითავხედებდა. როგორც ჩანს, მათ ისეთი „კრიშა“ ჰქონდათ, მოისყიდეს ყველა და ყველაფერი და მაშინ, როცა გასაჩივრების ყველა კანონიერი ვადა გასული იყო, სასამართლოს, გაყალბებული ოქმების საფუძველზე, მიაღებინეს მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილება. ახლა ვასაჩივრებთ ამ ყველაფერს წინა ხელისუფლების დროს ამას აზრიც არ ჰქონდა“, – აცხადებს კაკაბაძე.

მისივე თქმით, ხარძიანს ჰქონდა ბუბა კიკაბიძის მინდობილობა. რამდენიმე წლის შემდგომ კი კიკაბიძემ განაცხადა, რომ არაფრის საქმის კურსში არ იყო. ამ დროს, ხარძიანს, როგორც ბუბა კიკაბიძის წარმომადგენელს, ყველაფერში აქვს მონაწილეობა მიღებული და ეს მისი ხელმოწერებითაც დასტურდება. თუ მართალია ხარძიანი, როგორც მინდობილი პირი, ვალდებული იყო, ბუბასთვის ნებისმიერი სახის ინფორმაცია მიეწოდებინა. კიკაბიძემ კი იმის ნაცვლად, რომ ხარძიანისთვის ეჩივლა, ჩვენ გვიჩივლა. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს ხარძიანი მართავდა, ბუბა კიკაბიძე კი, უბრალოდ, ცრუობს.

„კუს ტბის“ ყოფილი მფლობელების განცხადებით, ხარძიანი დღეს იმასაც ამბობს, რომ უდესიანის ინტერესებს კაკაბაძე და გიორგობიანი წარმოადგენენ და ამიტომ ებრძვიან მას. **„ხარძიანი კარგად გავიცანით და ვიცით, ყველაფრის მკადრებელია, მაგრამ ამას როგორ ამბობს?! – უდესიანი მან მოიყვანა ისიც მას შემდეგ, რაც ჩვენ გადაგვაგდო. ხარძიანი უდესიანზე უარესი ტიპაჟია. გააკოტრა კომპანია, რომ შემდეგ მხოლოდ თავად დარჩენილიყო თავისი კომპანიით. საგადასახადოსაც ატყუებდა, რადგან, როცა რეალური შემოსავლები ჰქონდა კომპანიას, ხარძიანი წლის ბოლოს ნულოვან ბალანსს აჩვენებდა“,** – აცხადებენ „კუს ტბის“ ყოფილი მფლობელები.

კაკაბაძისა და გიორგობიანის განცხადებით, ხარძიანის მაქინაციებს გადაყვა მათი პარტნიორი ალექსანდრე კვასხაძე.

„დარწმუნებულები ვართ, რომ მისი გარდაცვალება ამ საქმეზე ნერვიულობას უკავშირდება. მიცვალებულის მძარცველს მოროდიორი ჰქვია. ხარძიანის დაგეგმილ და შესრულებულ ამბავს გეტყვით და სახელი თქვენ დაარქვით, – კვასხაძე 2007 წელს გარდაიცვალა, ექვსი თვის მერე მის მეუღლეს მისცეს სამემკვიდრო მოწმობა, რის საფუძველზეც უნდოდა 6%-იანი წილის გადაფორმება საკუთარ სახელზე. რეესტრში პარტნიორთა კრების ოქმის ამონაწერი მოსთხოვეს. დაიწერა ეს განცხადება პარტნიორთა კრების ჩატარების მოთხოვნით, რომ მერე წესისამებრ შესაძლებელი ყოფილიყო გარდაცვლილი ადამიანის წილის მის მეუღლეზე გადაფორმება. ხარძიანის სახელზე სამი დაზღვეული განცხადება გაიგზავნა. ქალბატონს პასუხი არ მისვლია. პასუხი ის იყო, რომ, როცა ისევ მივიდა სამეწარმეო რეესტრში, აღმოჩნდა, რომ მისი მეუღლის 6 პროცენტი ჩამოუყვანიათ 0.17 პროცენტზე, მერე კი, საერთოდაც უთხრეს, რომ მის მეუღლეზე აღარაფერი ირიცხება. ე.ი. გამოვიდა, რომ მიცვალებული გაძარცვეს. ყველა მოისყიდეს და გაყალბებული საბუთებით, კრების გაყალბებული ოქმების საფუძველზე მიცვალებული გაძარცვეს“, – აცხადებს „კუს ტბის“ ყოფილი მფლობელი ილია კაკაბაძე.

დაზარალებულები ხარძიანის, კიკაბიძისა და მოსამართლე კალანდაძის წინააღმდეგ პროკურატურისთვის მიმართვას გეგმავენ. როგორც ჩანს, „კუს ტბასთან“ დაკავშირებული ბიზნესდავა კიდევ დიდხანს იქნება საინტერესო.

შსს-მ ნარკორეალიზატორი და მომხმარებელი დააკავა

ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1978 წელს დაბადებული აკაკი თ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების ბრალდებით, ხოლო 1985 წელს დაბადებული მინდია დ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

ნარკოლოგიურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მინდია დ. დაკავებისას ნარკოტიკული საშუალება მარიხუანას ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

გამოძიება აკაკი თ-ს მიმართ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტებზე (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით), ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით), ხოლო მინდია დ-ს მიმართ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით) მიმდინარეობს.

„ვერსიანიუსი“

ნესტან კირთაძის სკანდალური მიმართვა ბიძინა ივანიშვილს

მე-3 გვერდიდან

საზოგადოებაში აგრესია დიდი ხანია გაჩნდა, ამიტომ სახალხო გამოსვლებს თავად დრო მოამწიფებს. ქვეყანაში მძიმე სოციალური მდგომარეობაა, ხალხი პურის საშოვნელად ქვეყნის დატოვებაზე ოცნებობს. არავის აქვს განწყობა, ირაკლი ღარიბაშვილის ან ბიძინა ივანიშვილის მორიგ ტყუილებს უსმინოს, ამიტომ ახლოსაა დრო, როცა ადამიანებში გადარჩენის ინსტიქტი იფეთქებს და ვადამდელ არჩევნებს მთელი სიმკაცრით მოითხოვს.

— არასაპარლამენტო ოპოზიციის ვერსიით, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა ირაკლი ღარიბაშვილის ინტერესებშიც შედის, რადგან პრემიერს კოალიციასთან თანამშრომლობის სურვილი აღარ აქვს.

> **— ირაკლი ღარიბაშვილის სურვილის მიხედვით, ქართველები პოზიციებს არ შეიცვლიან, არასაპარლამენტო პოლიტიკურ პარტიებსაც თვითგადარჩენის ინსტიქტი ამოძრავებს, რადგან ქვეყანაში ორპარტიული სისტემის დაფუძნების პროცესია და დანარჩენ პოლიტიკურ ძალებს მხოლოდ საჯარო ფიგურების სტატუსი ენიჭებათ. დღეს ქვეყანაში ოლიგარქიული მმართველობის რეჟიმია და, საბოლოოდ, ამაში ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციის შემდეგ დავრწმუნდი! მთავარია, საზოგადოებამ ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი გაიაზროს — მესიები არ უნდა ვეძებოთ!**

— მესიანიზმთან დაკავშირებით, ბიძინა ივანიშვილის იდენტური პოზიცია გაქვთ.

— როცა ბიძინა ივანიშვილს პირველად შევხვდი, მკითხა — მაინც ვერ გავიგე, სამოქალაქო სექტორში მუშაობა რატომ აირჩია და პოლიტიკაში ჩართვას სკეპტიკურად რატომ უყურებო. არადა, რამდენიმე დღის წინ სწორედ ამ სიტყვების ავტორი ბიძინა, სამოქალაქო სექტორის ხიბლზე აღტაცებული საუბრობდა. ფაქტია, მან არც პოლიტიკა და არც სამოქალაქო სექტორის არსი იცის! ბიძინა ივანიშვილმა მხოლოდ ის იცის, რომ საკმაოდ გავლენიანი ადამიანია, რადგან ფული აქვს. ისიც ზუსტად აქვს გააზრებული, რომ ფულმა უფრო მეტი ფული უნდა იშოვოს. ბიძინა ივანიშვილი ზოგჯერ პატიოსნადაც იქცევა, როცა აღიარებს — პოლიტიკოსი არ ვარ, საზოგადოებას გავზრდიო. მისი ფულისა და შეძლების პატრონს ჰგონია, რომ უფლება აქვს, მთელ საქართველოს უთხრას — მე გაგზრდით, დაგეხმარებით, გასწავლით და გაგაკონტროლებთ. ასე არ არის, ბიძინა! საკუთარი შვილების გარდა, შენ ვერავის გაზრდი! თუ ვინმემ ვინმეს რამე უნდა უკარნახოს, გააკრიტიკოს და გაზარდოს, მხოლოდ საზოგადოებამ და ხალხმა პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებაში! სამწუხაროდ, ამ ოლიგარქატის პირობებში, ადამიანებს უფრო გააღატაკებენ, სოციალურად დაჩაგრავენ, არანაირი სამუშაო ადგილები არ შეიქმნება... თუმცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ვერასოდეს გაექცევა!

— რატომ აკისრებთ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას პრემიერის პოსტიდან გადამდგარ ბიძინა ივანიშვილს, რომლის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობად, მისივე განცხადებით, მედიის ტრეინინგი იქცა?

— სწორედ მან მოიყვანა ხელისუფლებაში ის ქალები და ჭაბუკები, რომლებიც არჩევნებამდე საზოგადოებას საოცარ, აყვავებულ საქართველოს პირდებოდნენ. მაინტერესებს, ამ ადამიანებს როგორ არ რცხვენიათ ან მშვიდად როგორ სძინავთ? როგორ უსწორებენ თვალს ხალხს ქუჩაში თუნდაც მაშინ, როცა ძვირადღირებული ჯიპებიდან იცქირებიან?! მედიის გაკონტროლებაზე კი ბიძინა ივანიშვილისგან საუბარი უხერხულია! ან მაინტერესებს, რომელი მედიასაშუალება გააკონტროლებინებს ბიძინა ივანიშვილს თავს, ვის ექნება ისეთი არაპროფესიონალიზმის განცდა, რომ ბიძინას დაფინანსებულ ტრენინგებზე იაროს?

> **ბიძინას ავიწყდება, რომ თავისუფალი ქართული მედია ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაიბადა, უმძიმესი და საკმაოდ მტკივნეული პროცესები გამოიარა. შესაძლოა, გარკვეული ნაწილი ვიღაცის მიმართ სიმპათიით ან ანტიპათიითაა განწყობილი, თუმცა მედიის წარმომადგენლები ყოველთვის ცდილობდნენ, საზოგადოებისთვის სწორი სიტყვა მიეწოდებინათ. როცა ქუჩაში დარბევა იყო, პოლიტიკოსები გარბოდნენ, ზოგიერთები პროცესებს სახლიდან აკვირდებოდნენ, ჟურნალისტები კი ხელკეტებს არ უშინდებოდნენ. იმდენი ხანია პოლიტიკაში ვარ, პროცესების ცოცხალ მემატიანედ ვიქეცი. უამრავი დარბევა მინახავს, თუმცა გაქცეული ჟურნალისტი — არასოდეს! ბიძინა, ამ ჟურნალისტებს ეუბნები, რომ კითხვის დასმა და მოქალაქეობა უნდა ასწავლო?! არა, ჯერ თავად ისწავლე ეს ყველაფერი. ილიას სიტყვებს რომ იშველიებ, ილიას ტყავში ერთი დღე მაინც უნდა ისუნთქო. მილიარდები რომ გაქვს და ილიაზე ხმამაღლა საუბრობ, საგურამოსთან ილიას ძეგლი არსებულ პირობებში უნდა იყოს?! ილიას ციტატის გახმოვანება თავისუფალ მოქალაქეობასთან დაკავშირებით, არ ნიშნავს, რომ საკუთარ თავსაც თავისუფალი მოქალაქე უწოდო. სამწუხაროდ, ბიძინას ოცნება და ჩემი სამშობლოს მომავალი იდენტური არ არის!**

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საავტომობილო გზების ტენდერების სკანდალის გაუხმაურებელი დეტალები

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე და სატენდერო კომისიის თავმჯდომარე იოსებ ქადაგიშვილი ნაციონალურ მოძრაობას სასამართლოში უჩივის

ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციაში გადაბარგებისთანავე არჩეულ პოლიტიკურ სტრატეგიას არ ღალატობს და ნეპოტიზმის თემას აგრძელებს. სხვათა შორის, ვისაც ახსოვს, როგორ მზადდებოდა „ვარდების რევოლუცია“, არ შეიძლება, დეჟა ვუ არ დაემართოს ამჟამად უკვე პარლამენტის წევრების, ირმა ნადირაშვილისა (მაშინ რუსთავი 2-ის“ ჟურნალისტი გახლდათ) და გივი თარგამაძის (მაშინ თავისუფლების ინსტიტუტის აქტიური ლიდერი) ერთობლივი ბრიფინგის მოსმენისას. თუმცა მაშინ თამაზაშვილი-ღარიბაშვილის ნაცვლად, შევარდნაძე-ახვლედიანების კლანზე იყო საუბარი. როგორც ჩანს, ნაციონალები ამ თემას მიზანმიმართულად გააგრძელებენ და შეეცდებიან, რაც შეიძლება სწრაფად მოახდინონ ხელისუფლების მაღალჩინოსნების დისკრედიტაცია, რადგან, გადამოწმების შედეგად, არსებობს რამდენიმე ფაქტი, რომელიც არ დასტურდება და, შესაძლებელია, სასამართლო განხილვითაც დასრულდეს. რადგან სკანდალის თითქმის ყველა დეტალი, ფაქტობრივად, იმ დღესვე გაირკვა, „ვერსია“ ამჯერად დაინტერესდა, რა მტკიცებულებები აქვთ ნაციონალებს, როცა ნეპოტიზმის სქემას აქვეყნებენ და რა შედეგს ელიან პარლამენტში საკითხის გააქტიურებით. მოკლედ, სპეციალურ ბრიფინგზე პარლამენტის წევრმა, ირმა ნადირაშვილმა პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილისა და მისი სიმამრის, თამაზ თამაზაშვილის მსხვილი კორუფციული სქემა გაშიფრა და განაცხადა, ღარიბაშვილ-თამაზაშვილის კლანმა საკუთარი კონტროლის ქვეშ მოაქციეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო ტენდერის გამომცხადებელი სტრუქტურა შემსრულებელი ფირმები და შემმოწმებელი კომპანია. თავის მხრივ, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც ირმა ნადირაშვილი სიცრუის გავრცელებაში დაადანაშაულა. მეტიც, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ირმა ნადირაშვილის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

ნაციონალების განცხადება

ირმა ნადირაშვილის ბრიფინგის დასრულებისთანავე, 5 თებერვალს, ნაციონალური მოძრაობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა ღარიბაშვილი-თამაზაშვილის კორუფციულ სქემასთან დაკავშირებით, სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ: **„პრემიერის მეუღლის, ნუნუკა თამაზაშვილის (თამაზ თამაზაშვილის ქალიშვილი) ბიძაშვილი, იოსებ ქადაგიშვილი, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ და სატენდერო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა. ერთი წლის განმავლობაში, საგზაო მშენებლობაში გამოცხადებულ ტენდერებში უკვე 9-ჯერ გაიმარჯვა შპს „სერპანტინმა“ (ჯამური ღირებულება 15 000 000 ლარი), მათ შორის 12 500 000 ლარის ტენდერი, სწორედ ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მისი დაქვემდებარებული ორგანიზაციის მიერ გამოცხადდა. გარდა ამისა, პირდაპირი შესყიდვის წესით, კომპანიასთან გაფორმებულია რამდენიმე მილიონიანი ხელშეკრულებები.**

კომპანია „სერპანტინის“ 51%-იანი წილის მფლობელი, 65 წლის ქალბატონი თამარ ჯანყარაშვილია, რომელიც შს მინისტრის მოადგილის, გიორგი ზედელაშვილის დედა და შსს გენერალური ინსპექციის უფროსის, თამაზ თამაზაშვილის დისშვილის, ზვიად ჯანყარაშვილის ახლო ნათესავია. ამ კომპანიამ, ერთი წლის განმავლობაში, ჯამში 15 000 000 ლარზე მეტი მოცულობის ტენდერები მოიგო (გასული წლების განმავლობაში, იგივე ფირმამ 6 000 000 ლარის ოდენობის სახელმწიფო შეკვეთა შეასრულა, საშუალოდ, წელიწადში 20-ჯერ ნაკლები, ვიდრე უკანასკნელი წლის განმავლობაში).

კლანმა, ზეწოლის შედეგად, დაგებული საფარის შემმოწმებელი ერთადერთი ფირმა — შპს „საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის დირექცია“ აიძულა, ქვეკონტრაქტორად შპს „ვილსფორტ მენეჯმენტი“ აეყვანა, რომლის ტექნიკური დირექტორი ელდარ ხუციაძეა, შპს „სერპანტინის“ 31%-იანი წილის მფლობელის, ნუგზარ ხუციაძის მამა.

შპს „ვილსფორტ მენეჯმენტის“ 50%-ს კახა ბაინდურაშვილი ფლობს, რომელიც შპს TV3-ის თანამფლობელი და ძმები ჩხენკელების ბიზნესპარტნიორია. აკაკი ჩხენკელი შსს გენერალური ინსპექციის ყოფილი მაღალჩინოსანია ანუ ზვიად ჯანყარაშვილის ყოფილი თანამშრომელი, ამჟამად კი, პრემიერის კანცელარიის რეგიონულ სამსახურს ხელმძღვანელობს. მისი ძმა, ლაშა ჩხენკელი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვიცე-პრეზიდენტი და შპს TV3-ის თანამფლობელია“.

შპს „სერპანტინის“ შექმნის ისტორია

რას წარმოადგენს შპს „სერპანტინი“, როდის და რა პირობებში დაფუძნდა კომპანია, კონკრეტულად, რა სამუშაოებს ასრულებს და რა სიხშირით მონაწილეობს სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში? „ვერსიამ“ ამ კომპანიის შექმნისა და შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტი მოიპოვა და როგორც ირკვევა, შპს „სერპანტინი“, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს შეიქმნა, რომელიც ხიდების სარემონტო-სამშენებლო 9 სამმართველოს მემკვიდრეა. ეს სამმართველო 1957 წელს დაარსდა, ხელმძღვანელი ალექსი სეხნიაშვილი იყო. სამმართველო, სხვადასხვა ტიპის სამუშაოებს საქართველოს მასშტაბით ასრულებდა. სამმართველო აშენებდა ხიდებს აფხაზეთში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელოში, რაჭაში, ქართლსა და კახეთში. მაშინდელი გეგმების მიხედვით, 9 სამმართველოს წლიური გეგმა 4 000 000-5 000 000 მანეთი იყო.

1986 წელს, 9 სამმართველოს ხელმძღვანელად გივი ზედელაშვილი დაინიშნა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე, 2000 წლამდე მუშაობდა. სამმართველომ სომხეთში და საჩხერე-ჭიათურაში მიწისძვრის შედეგად დაზიანებული გზების, ასევე სვანეთში, წყალდიდობის შედეგად დანგრეული გზებისა და ხიდების აღდგენითი სამუშაოები შეასრულა.

90-იანი წლების ბოლოდან, თითქმის 100%-ით შეწყდა სახელმწიფო დაფინანსება და ასეთი სამმართველოები, ფაქტობრივად, უფუნქციოდ დარჩა. მაშინდელმა მთავრობამ, ამ ტიპის საწარმოების პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო და ყველა საგზაო სამმართველო, საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეიყვანა. 2000 წელს, 9 სამმართველოს თანამშრომლებმა, ორგანიზაცია სახელმწიფოსგან აუქციონის წესით გამოისყიდეს. წილები კი ასე გადანაწილდა: თამარ ჯანყარაშვილი (გარდაცვლილი გივი ზედელაშვილის მეუღლე) — 51%, ელდარ ხუციაძე — 31%, ტარიელ ამირანაშვილი — 13%, ბადური შიუკაშვილი — 5%.

თელავის რაიონული სასამართლოს მიერ, 2000 წლის 19 მაისის 34/4-266 დადგენილებით, სასამართლო რეგისტრაციაში გატარდა შპს „თელავის 9 საგზაო სამშენებლო-სარემონტო სამმართველო“, რომელიც 2004 წლის 12 თებერვალს, სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა, როგორც შპს საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია „სერპანტინი“.

2004 წლიდან, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე, რაშიც კომპანია „სერპანტინიც“ აქტიურად ჩაება. კომპანიამ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თანდათან გადაახალისა და საწარმოს სიმძლავრეებიც გაზარდა. 2007-2013 წლებში, შპს „სერპანტინის“ ფინანსური ბრუნვა (დღგ-ს ჩათვლით) ასეთია: 2007 წელს — 5 322 673 ლარი, 2008 წელს — 4 924 183 ლარი, 2009 წელს — 12 788 286 ლარი, 2010 წელს — 15 928 580 ლარი, 2011 წელს — 8 087 586 ლარი, 2012 წელს — 14 694 168 ლარი და 2013 წელს — 14 136 201 ლარი.

„თუ შპს „სერპანტინს“ ხელისუფლება მფარველობს, 12 000 000-ლარიანი ტენდერი რატომ წავაგეთ?“

შპს საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია „სერპანტინის“ დირექტორმა, ზურაბ ფეიქრიშვილმა „ვერსიასთან“ ინტერვიუში აღნიშნა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს, მის სიმამრს, თამაზ თამაზაშვილსა და მათი ოჯახის სხვა წევრებს, შპს „სერპანტინთან“ არავითარი კავშირი არ აქვთ.

— შპს „სერპანტინი“ ძველი კომპანიაა. 9 სამმართველო, რომლის სამართალმემკვიდრეა ჩვენი კომპანია, ერთ-ერთი გამორჩეული იყო საქართველოში. 1986-2000 წლებში, მას გივი ზედელაშვილი ხელმძღვანელობდა, რომელიც შს მინისტრის პირველი მოადგილის, გიორგი ზედელაშვილის მამა იყო. პრივატიზების შედეგად, თანამშრომლებმა კომპანიის წილები გამოისყიდეს, მაგრამ 2000 წელს, გივი ზედელაშვილის გარდაცვალების შემდეგ, 51%-იანი წილი მისი მეუღლის, თამარ ჯანყარაშვილის სახელზე გაფორმდა.

— ბატონო ზურაბ, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის პირობებში, „სერპანტინი“ სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობდა?

— რას ამბობთ, როგორ არ ვმონაწილეობდით! ამას წლების მიხედვით დაგიმტკიცებთ. მაგალითად, 2007 წელს — 5 300 000 ლარის საქმე შევასრულეთ, 2008 წელს — 5 000 000 ლარამდე, 2009 წელს — 12 800 000 ლარამდე, 2010 წელს — 16 000 000 ლარამდე, 2011 წელს — 8 000 000 ლარამდე, 2012 წელს — 14 700 000 ლარამდე, ხოლო 2013 წელს — 14 136 000 ლარამდე. ნაციონალური მოძრაობის ძალიან ბევრმა წარმომადგენელმა იცის კომპანია „სერპანტინი“ და კარგად ხვდებიან, რომ ირმა ნადირაშვილის ბრიფინგი მხოლოდ მასხრობა იყო. კომპანიას დასაქმებული ჰყავდა 1 000-2 000 ადამიანი, როდესაც ასეთ დიდ სამუშაოებს ვასრულებდით. თამარ და ზვიად ჯანყარაშვილები მხოლოდ მოგვარეები არიან და არანაირი ახლო ნათესავები.

— ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პირობებში, საერთოდ არ მონაწილეობდით ტენდერებში, ან ვიღაც გბლოკავდათ, მაგრამ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ტენდერებს ტენდერებზე იგებთ...

— ნაციონალურ მოძრაობას ძალიან მარტივად შეუძლია ყველაფერი რეგიონული განვითარების ყოფილ მინისტრთან, რამაზ ნიკოლაიშვილთან გადაამოწმოს. მან კარგად იცის, რას წარმოადგენს შპს „სერპანტინი“. თუ კახეთის რეგიონში საქმე იყო გასაკეთებელი, რამაზ ნიკოლაშვილი ყოველთვის „სერპანტინში“ რეკავდა. ჩვენს კომპანიას საკმარისი სიმძლავრე გააჩნია, ნებისმიერ ცხელ წერტილში პრობლემა მოაგვაროს. რაც ნადირაშვილის ბრიფინგზე მოხდა, სინდის-ნამუსის ძარღვის გაწყვეტაც კი არ ჰქვია, ეს უტიფრობის ზღვარსგადაცილებული ქცევაა. ადამიანები სახალხოდ გამოდიან და ამხელა ტყუილს ამბობენ. სირცხვილია! რაც შეეხება „სერპანტინის“ დაბლოკვას წინა ხელისუფლების პირობებში, ასე არ ყოფილა. როგორ ვიტყვი, რომ ვიღაც გვბლოკავდა, როდესაც ჩვეულებრივ ვმონაწილეობდით მათ მიერ გამოცხადებულ სახელმწიფო ტენდერებში? ხან ვიგებდით ტენდერებს და ვასრულებდით სამუშაოებს, ხან ვერა. სულ რაღაც ორი თვის წინ, საკმაოდ დიდ ტენდერში მივიღეთ მონაწილეობა, რომელიც 12 000 000-ლარიანი იყო, მაგრამ წავაგეთ. თუ შპს „სერპანტინს“ ხელისუფლება მფარველობს, 12 000 000-ლარიანი ტენდერი რატომ წავაგეთ?

რას აპირებს ირმა ნადირაშვილი?

საინტერესოა, რას აპირებს საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი, ირმა ნადირაშვილი, გადასცემს თუ არა მტკიცებულებებს მთავარ პროკურატურას? „ვერსია“ ირმა ნადირაშვილს ესაუბრა.

— ირმა, რის საფუძველზე ამტკიცებთ, რომ სახელმწიფო ტენდერებს ღარიბაშვილის კლანი აკონტროლებს, ეს მხოლოდ ვერსიაა თუ მტკიცებულებებიც გაქვთ?

— სქემა აგებულია იმის მიხედვით, ვინ ვისი ნათესავია. ჩემმა კოლეგამ, ლევან ბეჟაშვილმა პარლამენტის სხდომათა დარბაზში უკვე გააკეთა განცხადება, ამის შემდეგ უმრავლესობის დეპუტატების განცხადებებიც მოვისმინე და არც ერთ მათგანს არ უთქვამს, რომ ფაქტობრივი შეცდომა დავუშვით. უმრავლესობამ დაადასტურა, რომ შპს „სერპანტინის“ 51%-იანი წილის მფლობელი თამარ ჯანყარაშვილი, შს მინისტრის მოადგილის დედაა. ჩვენ ვამბობთ, რომ შს მინისტრის მოადგილის დედა, შს გენერალური ინსპექციის უფროსის, ზვიად ჯანყარაშვილის მამიდაა. თავის მხრივ, ბატონი ჯანყარაშვილი, თამაზ თამაზაშვილის დისშვილია. მათი კიდევ ერთი ნათესავი, ანუ პრემიერის მეუღლის, ნუნუკა თამაზაშვილის დეიდაშვილი, თუ მამიდაშვილი, უკვე ავირიე კიდეც მათ ჩახლართულ ამბებში, იოსებ ქადაგიშვილი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარეა. ცალკეა სტრუქტურა, რომელიც უკვე დაგებულ გზებს ამოწმებს. ეს სტრუქტურაც მათ ხელშია, რადგან „სერპანტინის“ ერთ-ერთი მფლობელი წარმოდგენილია, როგორც ამ ფირმის დირექტორი. მეტი, რა დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა მოვიტანო, რომ აბსოლუტურად ყველა რგოლი, მათ შორის, ტენდერის გამცემი, მისი მიმღები, შემსრულებელი და შემმოწმებელი, ერთი ოჯახის ხელშია თავმოყრილი. შემთხვევით ხდება, რომ ყველგან თამაზაშვილისა და ღარიბაშვილის ნათესავები არიან დანიშნულები და ამისგან არაფერს იღებენ?

— „სერპანტინის“ დირექტორმა, ზურაბ ფეიქრიშვილმა განაცხადა, რომ ნაციონალებმა კარგად იციან, რას წარმოადგენს ეს კომპანია.

— ბრიფინგიც ასე დავასრულე, რადგან ვიცოდი, რა პასუხი იქნებოდა მათი მხრიდან და ვთქვი, ჩემი განცხადების შემდეგ, ისინი იტყვიან, რომ ეს კომპანია ძველია, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის პირობებშიც მუშაობდა.

დასასრული მე-6 გვერდზე

„ღარიბაშვილი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ელოდება... დავით ბერძენიშვილი ოპოზიციაში გადავა“

ერუსუდან შელია
557-100-768

საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციამ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ინტერფრაქციული სხდომა დატოვა. მათი განცხადებით, ორი პრინციპული საკითხის — მერისა და გამგებლების თანაბარი 50%-იანი ბარიერით არჩევისა და მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების შექმნის საკითხის განხილვა ინტერფრაქციულ ჯგუფში, ფაქტობრივად, არ დაწყებულა. შესაბამისად, საარჩევნო გარემო, სისტემური თვალსაზრისით, გაუმჯობესების ნაცვლად, გაუარესდა. წავა თუ არა მმართველი გუნდი დათმობაზე და რა სიახლეები იგეგმება ოპოზიციურ ფლანგზე, „ვერსიას“ ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი ლევან ვეფხვაძე ესაუბრა.

— ინტერფრაქციული ჯგუფის ფორმატში, არასაპარლამენტო ოპოზიციას საკმაოდ კონკრეტული მოთხოვნები გვქონდა, თუმცა. მოლაპარაკებებისა და საერთო პოზიციაზე შეთანხმების ნაცვლად, მმართველი გუნდისგან მხოლოდ დაპირებები მოვისმინეთ. იანვარში, ქობულეთში შევიკრიბეთ და გარკვეულ შეთანხმებებსაც მივაღწიეთ. მაშინ, თითქოს, გაჩნდა პერსპექტივა, „ქართული ოცნება“ თვითმმართველი ქალაქების საარჩევნო რეფორმაზე წამოვიდოდა, თუმცა ჩანს, საბოლოოდ, ყველაფერი პრემიერის პოზიციამ გადაწყვიტა. არადა, კოალიციაში გაერთიანებულ პარტიებს ვურჩევდი, ნაციონალური მოძრაობის მიერ შემუშავებულ საარჩევნო კოდექსს მხარი ღიად არ დაუჭირონ.

— საარჩევნო კოდექსი სტრუქტურულად ხომ შეიცვალა? მმართველ გუნდს აქვს არგუმენტი, რომ ცვლილებების მიხედვით, მერისა და გამგებლის არჩევა პირდაპირი წესით მოხდება, რაც ოპოზიციისთვის საკმაოდ მომგებიანი უნდა იყოს.

— სტრუქტურული ცვლილება, მართლაც, განხორციელდა, თუმცა არსობრივად არაფერი შეცვლილა. არჩევნებში დომინანტი პარტიის 30-35%-იანი ელექტორატი გადამწყვეტი იქნება, აღნიშნული ცვლილებები მხოლოდ იმ მიზეზით მიიღეს, სალაპარაკო თემა ჰქონოდათ. მაგალითად, წლების განმავლობაში საკრებულოს მიერ არჩეული გამგებელი სწორედ იმიტომ არ მოგვწონდა, რომ საკრებულოს არჩევის სისტემა იყო გაუმართავი, ცუდი — 30%-იან პარტიას საკრებულოში უმრავლესობის მოპოვება შეეძლო და შემდეგ გამგებელსაც ნიშნავდა. ახლა „ქართული ოცნება“ გვეუბნება, იგივე 30% საკრებულოს არჩევასაც შეძლებს, თუმცა მისი გადაყენება საკრებულოს ნებისმიერი მიზეზით, მათ შორის, პოლიტიკური შეუთავსებლობის გამოც შეეძლება. შეთანხმებას ვერც ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებთან დაკავშირებით მივაღწიეთ, არადა, სრულიად ცივილიზებული სამყარო გვეუბნება — დაუშვებელია, ერთ დეპუტატს 5 ათასი ხმით ირჩევდნენ, მეორეს კი ორასითო. ხელისუფლებას ერთმანდატიანი ოლქი აწყობს, რადგან ამ მეთოდით, უმრავლესობა გარანტირებული აქვს. როცა ხელისუფლებაში ხარ, ადმინისტრაციული რესურსებიც შენ ხელთაა, ამას ნაციონალური მოძრაობა აკეთებდა და „ქართული ოცნებაც“ წარმატებით აგრძელებს.

— გამოდის, ინტერფრაქციული ჯგუფი დაიშალა, თუ მმართველი გუნდისგან დათმობას მაინც ელოდებით?

— ვერ ვიტყვი, რომ ჯგუფი დაიშალა, თუმცა ფაქტია, მოლაპარაკებები ჩიხშია. მმართველი გუნდი დაიბნა და იმის ნაცვლად, ჩვენს წინააღმდეგ აგრესიული განცხადებები ეკეთებინათ, შოკი მიიღეს. დარწმუნებული ვარ, დაიხევენ და დათმობაზეც წამოვლენ. ორი გზა აქვთ — დათმობა ან ნაციონალური მოძრაობის ბედის გაზიარება. როცა ინტერფრაქციულ ჯგუფს ზაქარია ქუცნაშვილი ხელმძღვანელობდა, ექვსთვიანი საუბრის შემდეგ შევთანხმდით, რომ ადგილობრივი არჩევნები ბიომეტრული სიებით იმუშავებდა და დაფინანსების კანონიც შეიცვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კანონში ეს პუნქტები უკვე ჩაწერილია, ხელისუფლება გვეუბნება, ახლა ხალხს ვერ დავუვლი და სურათებს ვერ გადავუღებ, არჩევნებს ბებიაშენის ძველი ფოტოებით ჩავატარებ, სადაც 32 კბილი აქვსო და, მერწმუნეთ, ეს მეტ გაუგებრობას გამოიწვევს. როცა ბიძინა ივანიშვილი ოპოზიციაში იყო, აცხადებდა — აჰა, თქვენ ჩემი ფული და მოდი ბიომეტრული სია შევქმნათო, ახლა რატომ არავის უნდა ამ მიმართულებით ფულის ჩადება? ივანიშვილმა ადრე მაჟორიტარებს ფეოდალები უწოდა, ახლახან კი თქვა, მაშინ ნაჩქარევი განცხადება გავაკეთეო. ჩანს, ბიომეტრულ სიაზეც იჩქარა და, ალბათ, მალე მოვისმენთ — ნაციონალური მოძრაობის კრიტიკა ვიჩქარეთ და უკვე ვხვდებით, რომ ეს ადამიანები კარგ საქმეს აკეთებდნენო. თუ პოლიტიკური ბალანსი არ იარსებებს, სისტემაც დემოკრატიულად ვერ იმუშავებს და ყველაფერი მხოლოდ ერთ პარტიაზე იქნება მორგებული.

— ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პირობებში, კოალიციაში შემავალი პარტიების მოთხოვნებიც იდენტური იყო. მმართველი პარტიების პოზიციურ ცვლილებას რით ხსნით?

— ხელისუფლება იმაზე კი არ ნერვიულობს, არჩევნების შემდეგ ქვეყნის მასშტაბით გამგებლების უმრავლესობა მათი იქნება თუ არა, მათი ამოცანაა, ყველა რაიონში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გაიმარჯვოს. 2006 წელს ნაციონალებსაც, დაახლოებით, იგივე სისტემა ჰქონდათ — გამარჯვებულს მიაქვს ყველაფერი. ჩანს, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ფიქრობ, რომ უცდომელი ხარ და ქვეყანა კიდევ დიდხანს უნდა მართო. ხელისუფლებაში ყოფნა დიდხანს და ბედნიერად სააკაშვილსაც არ გამოუვიდა, რომელმაც აბსოლუტურად ჩამოყალიბებული რეპრესიული ინსტიტუტები და კონსოლიდირებული გუნდი შექმნა, „ქართული ოცნება“ კი, კონსოლიდირებული არ არის. ასე რომ, ხელისუფლებაში ყოფნას დიდხანს ვერ შეძლებს. დათო ბერძენიშვილი ერთმანდატიან ოლქებს არ უნდა „აპრავებდეს“ და არც 50%-იანი ბარიერის წინააღმდეგი იყოს, რადგან გავა თვე და ჩემთან ერთად, ღარიბაშვილს სწორედ იგივე პრეტენზიებით მიადგება.

— დავით ბერძენიშვილი თქვენთან ერთად ბრძოლას გეგმავს?

— ეჭვი არ მეპარება, მაქსიმუმ წელიწადში, დავით ბერძენიშვილი ოპოზიციაში აღმოჩნდება. რატომ ეჩქარება ირაკლი ღარიბაშვილს ადგილობრივი არჩევნების ჩატარება? საღი აზრი მოითხოვს, არჩევნები შემოდგომამდე გადაწიონ, რადგან რეფორმის ჩატარება და საორგანიზაციო საკითხები გაზაფხულამდე ვერ ესწრება. მიუხედავად ამისა, ჩქარობს, რადგან კოალიციაში შემავალი პარტიებისგან გათავისუფლება უნდა. როგორც კი ადგილობრივი არჩევნები დასრულდება, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიც დაინიშნება.

— განმარტეთ, რატომ აწყობს ირაკლი ღარიბაშვილს კოალიციის დაშლა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება?

— ამ ეტაპზე, ირაკლი ღარიბაშვილი იძულებულია, კოალიციაში შემავალ ხუთივე პარტიას ანგარიში გაუწიოს, რაც ნამდვილად არ ეხალისება. პარლამენტში მხოლოდ პარტია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები რომ იყვნენ, თავს ბევრად კომფორტულად იგრძნობს.

— არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები დიდი ხანია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას ითხოვთ. თუ მოვლენები ამ სცენარით წარიმართა, არჩევნების ჩატარების წინააღმდეგი იქნებით?

— ბუნებრივია, არასაპარლამენტო ოპოზიციას ვადამდელი არჩევნები აწყობს. რესპუბლიკელები კი ამ ფაქტით კმაყოფილნი ვერ იქნებიან, რადგან ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში, მათი ლიდერი პარლამენტის თავმჯდომარე ვეღარ იქნება, იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ნაციონალები — პარლამენტში ბევრად მცირე წარმომადგენლობით შევლენ. ვფიქრობ, მაჟორიტარული სისტემაც ამ მიზნით არ იცვლება. ირაკლი ღარიბაშვილს დიდი შანსი აქვს, ნაცმოძრაობის მსგავსად, ყველა რაიონი მოიგოს.

— სანამ თეორიულ შესაძლებლობებზე ვისაუბრებთ, ადგილობრივი არჩევნებისთვის როგორ ემზადებით, უკვე განსაზღვრეთ, რომელ პარტიასთან შეხვალთ კოალიციაში?

— ბუნებრივია, ადგილობრივი არჩევნების წინ, გათითოკაცებულად სიარულს, სჯობია, რამდენიმე პარტიული ძალა ერთ პოზიციაზე შეჯერდეს. ფაქტია, ეს პროცესი ადვილი არ იქნება, მაგრამ ყველა პარტია, ვისაც პოლიტიკაში გარკვეული წონა აქვს, დიალოგში უნდა ჩაერთოს. ქრისტიან-დემოკრატები მზად ვართ, ნაციონალური მოძრაობის გარდა, ნებისმიერ პოლიტიკოსთან დიალოგი ვაწარმოოთ. ეს პროცესი დაწყებულია, უბრალოდ, საარჩევნო სისტემის ცვლილებას ველოდებოდით. იდეოლოგიური კოალიცია ვერ შეიქმნება, მხოლოდ პრაგმატულად გავერთიანდებით, რომ არჩევნებში ერთმანეთს ხელი არ შევუშალოთ. ეს აუცილებელია, რათა დომინანტი „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ოდნავ მაინც შევარყიოთ.

საავტომობილო გზების ტენდერების სკანდალის გაუხმაურებელი დეტალები

მე-5 გვერდიდან

ჩემსავე ბრიფინგზე დავადასტურე, რომ ეს ნამდვილად ასე იყო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, მათი ნათესავი არ ყოფილა. ისინი მუშაობდნენ ისე, როგორც ბევრი სხვა კომპანია და იგებდნენ ტენდერებს კახეთის მასშტაბით. ახლა ეს მასშტაბები საგრძნობლად გაიზარდა და საქართველო მოიცვა. ერთია, რომ ეს კომპანია ნამდვილად არსებობდა, მაგრამ მაშინ „სერპანტინის“ 51%-ის მფლობელი, ქალბატონი თამარი, შს მინისტრის მოადგილის დედა არ იყო. აქ ყველა თანამდებობა თვითონ გადაინაწილეს და სწორედ ესაა პრობლემა, თორემ ვადასტურებ, რომ ჩვენ დროსაც მუშაობდნენ და იგებდნენ ტენდერებს. თუმცა, თუ რაოდენობრივად შეადარებთ, ბოლო წელიწადნახევარში ბევრად მეტი მოგება მიიღეს, ვიდრე ხელისუფლებაში ჩვენი ყოფნის 9 წლის განმავლობაში.

— „ვერსიაში“ ჟურნალისტური გამოძიება გამოვაქვეყნეთ ლენტეხის გზების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, ჩვენს ხელთ არსებული ოფიციალური დოკუმენტებით, ლენტეხის ბიუჯეტი, რომელიც ყოველთვის 2 000 000-ლარიანი იყო, წინასაარჩევნო პერიოდში, 18 000 000 ლარი გახდა, საიდანაც 14 000 000 ლარი გზების რეაბილიტაციაზე იყო გაწერილი. მაშინ რამაზ ნიკოლაიშვილთან დაახლოებული პირი იყო ლენტეხის მაჟორიტარი დეპუტატი, ნაციონალური მოძრაობის წევრი, გოგი ლიპარტელიანი, სატენდერო კომისიის წევრებიც ნაციონალურ მოძრაობასთან და გოგი ლიპარტელიანთან დაახლოებული პირები იყვნენ, მაშინდელ ტენდერებშიც ის კომპანიები იმარჯვებდნენ, რომლებსაც ლიპარტელიანის ახლობლები ფლობდნენ. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ წლების მანძილზე, ამ კორუფციულ სქემაში, მხოლოდ გვარები და სახელები იცვლება იმის მიხედვით, ვინ არის ხელისუფლებაში. რატომ მაშინ არ შეგეპარათ ეჭვი, როცა სწორედ ამ მასალაში ვსაუბრობდით თუნდაც ლიპარტელიანის ნათესაურ კავშირებზე გამარჯვებული ფირმის მეპატრონეებთან?

— აგებდნენ თუ არა ამ გზებს იმისთვის, რომ არჩევნებში დივიდენდები მიეღოთ? შეიძლება, ასეც განვიხილოთ. სამწუხაროდ, დეტალები არ ვიცი და კონკრეტულად, მხოლოდ თქვენს ინფორმაციაზე დაყრდნობით ვსაუბრობ, მაგრამ გზების მშენებლობა ყოველთვის ჩვენი პრიორიტეტი იყო, ქვეყანაში კი სულ არჩევნებია და ამისთვის რომ გვეყურებინა, არასოდეს არაფერი უნდა გაგვეკეთებინა. რაც შეეხება გოგი ლიპარტელიანს, ალბათ, ამაზე ჩემი პასუხი აღარ დაგჭირდებათ, რადგან თქვენც ხედავთ, რომ იგი ყველას მეგობარია, ვინც ხელისუფლებაშია. მასზე პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ კუთხით შემიძლია ავიღო, რომ ასეთი ადამიანი ჩვენთან იყო, რაც ჩემთვის ძალიან სამწუხაროა. თუ ასეთი დარღვევები მართლაც იყო, ახლა გამოიძიონ, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. თუ რამე დარღვევები იყო ნაციონალური მოძრაობის დროს, ეს არ არის ინდულგენცია, რომ ახლაც იგივე გაიმეორო და ვიღაც ჩაანაცვლო.

— როცა ამ ტიპის ინფორმაციას აქვეყნებთ, იმედი გაქვთ, პროკურატურა გამოიძიებს ფაქტებს, თუ ეს მხოლოდ პარტიული სტრატეგიაა?

— ნამდვილად არ მაქვს იმედი, პრემიერის საოჯახო ბიზნესსა და დანაშაულებს ვინმე გამოიძიებს. რაც შეეხება ინტერესს, რა თქმა უნდა, ასეთი ინტერესი გვაქვს, ჩემმა კოლეგამ, ლევან ბეჟაშვილმა სხდომაზე პირდაპირ თქვა, რომ პოლიტიკური შეფასების გაკეთებას არ აპირებს. ის მიიჩნევს, რომ ეს საკითხი მთავარმა პროკურატურამ უნდა შეაფასოს. თავისთავად, პროკურატურას რომც არ მივმართოთ, როდესაც დეპუტატი ასეთი ტიპის ინფორმაციას ავრცელებს, ვალდებულია, საქმე აღძრას, მაგრამ ამის იმედიც არ მაქვს.

P.S. 5 თებერვალს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე საავტომობილო გზების დეპარტამენტის სპეციალური განცხადება განთავსდა: „საავტომობილო გზების დეპარტამენტი სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის მიერ გაკეთებული განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება და კატეგორიულად გამორიცხავს საავტომობილო გზების დეპარტამენტში გამოცხადებულ ტენდერებში ვინმეს მიერ ზემოქმედების შესაძლებლობას. სიცრუეა, როდესაც საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი აცხადებს, თითქოს კომპანია „სერპანტინს“ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული ტენდერების დიდი რაოდენობა აქვს მოგებული, თანაც მთელი ქვეყნის მასშტაბით. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოიპოვოს ან გადაამოწმოს ინფორმაცია ელექტრონული ტენდერების ნუსხაში და ნახოს, რომ კომპანია „სერპანტინმა“, 2013 წელს გაიმარჯვა 4 ტენდერში და მხოლოდ თავისი საქმიანობის არეალში — კახეთის რეგიონში. კომპანიამ 2013 წელს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ 7 ტენდერში უარყოფითი შედეგი მიიღო, ხოლო 4 ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა. რაც შეეხება მეორე ბრალდებას, თითქოს იოსებ ქადაგიშვილი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის სიმამრის, თამაზ თამაზაშვილის ახლო ნათესავია, ამ განცხადებას საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე იოსებ ქადაგიშვილი გამიზნულად აგორებულ ჭორს უწოდებს და სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ არანაირი ნათესაური კავშირი თამაზ თამაზაშვილთან და მის ოჯახთან არ აქვს. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის განცხადება სიცრუე და ცილისწამებაა, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მისი დედა დედისერთაა და შესაბამისად, იოსებ ქადაგიშვილი ვერავის მამიდაშვილი ვერ იქნება“.

იოსებ ქადაგიშვილი უკვე ესაუბრა ადვოკატს, რომელიც ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის წინააღმდეგ სარჩელს ამზადებს.

„ჩემი მიზანია, საქართველოში, სისხლის დეფიციტის გამო, ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე აღარასოდეს შეექმნას“

სისხლის ბანკი — ბიზნესმენ ნატალი კვანტალიანის „ღვთიური საქმე“

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

„მინდა, ადამიანებს ცხოვრება გავუადვილო. მინდა, მათ ჰქონდეთ გარანტია, რომ ექიმები სწორ დიაგნოზს დაუსვამენ. ეს, ჯანმრთელობის გაუარესების დროს, ყველაზე მნიშვნელოვანია. ჯანდაცვის სფეროთი ამიტომ დავინტერესდი და სისხლის ბანკსაც ამიტომ ვხელმძღვანელობ, თორემ, ეს საქმე, ბიზნესის თვალსაზრისით, მომგებიანი არაა. ეს, უბრალოდ, ღვთიური საქმეა“, — „მედინვესტ ჯორჯია – საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკის“ ხელმძღვანელმა, ბიზნესმენმა ნატალი კვანტალიანმა „ვერსიას“ სისხლის ბანკის შენობაში უმასპინძლა. ახალგარემონტებული, კეთილმოწყობილი შენობა თავად მოგვატარა, გარკვეულწილად და გიდობაც გაგვიწია.

„სანამ ვსხედვართ და ვსაუბრობთ, აქედან გატანილი სისხლით, ვინ იცის, ექიმები რამდენი ადამიანის გადარჩენას შეძლებენ“, — ამაყად და სიხარულით მეუბნება ბიზნესმენი ნატალი კვანტალიანი და იმასაც მიმხელს, რის გამოც, თავის დროზე, სისხლის ბანკით დაინტერესდა, — **„რამდენიმე წლის წინ დედას ანევრიზმა გაუსკდა. რამდენიმე თვე ვიწექით საავადმყოფოში... ის დღეები ვფიქრობდი, ეს ამბები რომ ჩაივლის, ან ტაძარს ავაშენებ, ან ჯანდაცვასთან დაკავშირებულ რაიმე საქმეს მოვკიდებ ხელს-მეთქი“.**

იყო კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ნატალი კვანტალიანი, თავის დროზე, ჯანდაცვის სფეროთი დაინტერესდა — 18 წლისას, სამტრედიის რაიონში, ექიმმა სისხლის გათეთრების დიაგნოზი დაუსვა. საბედნიეროდ, დიაგნოზი არ გამართლდა. ქალბატონმა ნატომ კი მაშინ პირველად იფიქრა, რომ ჯანმრთელობის პრობლემების შექმნისას ყველაზე მნიშვნელოვანი სწორი დიაგნოზის დასმაა, ამიტომ გადაწყვიტა წლების შემდეგ, უკვე ბიზნესში გზაგაკვალულმა, ისეთი საქმისთვის მოეკიდა ხელი, რომელიც ადამიანებს მისცემდა გარანტიას, რომ ექიმები დიაგნოზის დასმისას არ შეცდებოდნენ.

სისხლის ბანკი, რამდენიმე ათეული კომპანიიდან ერთ-ერთია, რომელსაც ნატალი კვანტალიანი წარმატებით უძღვება; მეტიც, ეს ის სფეროა, რომელსაც დღეს ყველაზე დიდ დროსა და ენერგიას უთმობს.

სისხლის ბანკზე ღია ტენდერი ორიოდე წლის წინ გამოცხადდა. **„პირობები რთული იყო, მაგრამ გავიმარჯვე. ვერ წარმოიდგენთ, აქ რა მდგომარეობა დამხვდა — ურემონტო, დანგრეული ოთახები, ანტისანიტარია... ერთი ოთახი ხელუხლებელი დავტოვე, მეტი თვალსაჩინოებისთვის. ერთგვარი მუზეუმივით იქნება, რომ აქ მოსულმა ადამიანმა ნათლად დაინახოს, რა დამხვდა და ამ მოკლე დროში, რისი გაკეთება შევძელი. საქართველოს სისხლის ბანკს, წლების განმავლობაში არანაირი სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებია. თანამშრომლებს უმძიმეს პირობებში უწევდათ მუშაობა. სისხლის ეროვნულ ბანკში ჩვენი შემოსვლის შემდეგ, შენობას ჩაუტარდა ევროსტანდარტის შესაბამისი რეკონსტრუქცია. თანამშრომლებს ბევრად უკეთესი პირობები შევთავაზეთ გავზარდეთ ხელფასები, შემოვიღეთ პრემიები...“** — ამბობს ნატალი კვანტალიანი.

გაკეთებით კი, 2010 წლის შემდეგ, მართლაც, წარმოუდგენლად ბევრი რამ გაკეთდა. შენობა გარემონტდა. 7000 კვ.მ-ზე გადაჭიმულ სისხლის ბანკში მისულებს, დღეს ევრორემონტი, სისუფთავე, სითბო და კომფორტი დაგხვდებათ. შენობის ზედა სართულებზე სარემონტო სამუშაოები დღესაც მიმდინარეობს. უკვე კეთილმოწყობილია შიდაეზო, სადაც ყვავილნარში ჩაფლულ მაგიდებთან დასვენებას შეძლებთ. კეთილმოწყობილია უზარმაზარი საკონფერენციოც, ქართულ-ჰოლანდიური ლაბორატორიაც, საოპერაციოც... დიზაინიც გემოვნებითაა შერჩეული, აპარატურაც ულტრათანამედროვეა. ყველაფერთან ერთად, თვალს საოცრად ლამაზი ყვავილებიც მოგჭრით, რომლებიც ყველა ოთახში, უხვადაა. აქ პროფესიონალი ექიმები მოგემსახურებიან.

„სისხლის სკანდალი“ საქართველოში არაერთხელ აგორდა. ოპერაციაგადატანილი ადამიანები, რომლებსაც სხვადასხვა სისხლის ბანკისგან მიწოდებული სისხლი გადაუსხეს, შიდსით, ჰეპატიტებით დაავადდნენ, მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ამის მიზეზი დაავადებული დონორია. ასეთი არაერთი ისტორია ახსოვს ჩვენს საზოგადოებას და ნატალი კვანტალიანსაც, რომელიც ამბობს, რომ სწორედ ამიტომ, სისხლის ბანკის ფუნქციონირებისას, მთავარი სისხლის ხარისხია. ამ ფონზე, რა გასაკვირი არაა, რომ „მედინვესტ-ჯორჯიაში“ მისულებს, სისხლის ჩაბარებამდე საგანგებო შემოწმებას უტარებენ. სისხლის გაღების შემდეგ კი, უმაღლესი, ე.წ. მეოთხე თაობის ტესტებით მოწმდება თავად სისხლი. დონორებს უტარდებათ შემდეგი სახის ლაბორატორიული გამოკვლევები: სისხლის ჯგუფის, რეზუს კუთვნილების, რეზუს ფენოტიპის განსაზღვრა, კელფაქტორის, ჰემოგლობინის შემადგენლობის განსაზღვრა; პირველად დონორებს უტარდებათ სისხლის საერთო ანალიზი; ათაშანგის სეროლოგიური გამოკვლევები; ჰეპატიტ B (HBsAg) ვირუსის მარკერებზე გამოკვლევა; ჰეპატიტ C (HCV) ვირუსებისადმი ანტისხეულებზე გამოკვლევა; ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსისადმი ანტისხეულებზე გამოკვლევა (აივ-HIV). გამოკვლევები (გარდა ჰემოგლობინისა, რომელსაც წინასწარ, დონაციამდე განსაზღვრავენ) ტარდება თანამგზავრი ფლაკონიდან აღებულ სისხლში. ექიმი-თერაპევტის მიერ, სრულყოფილად შეკრებილი ანამნეზის, დონორის მიერ შევსებული სამედიცინო კითხვარისა და უკვე განსაზღვრული ჰემოგლობინის მაჩვენებლის საფუძველზე ფასდება პოტენციური დონორის ჯანმრთელობის მდგომარეობა და დონორს ეძლევა სისხლის გაღების უფლება.

„მედინვესტ ჯორჯია — საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი“ დღეს საქართველოში ყველაზე დიდი სისხლის ბანკია დონორთა რაოდენობით. ის ამარაგებს, საქართველოს მასშტაბით, ყველა კლინიკას.

„მოსვლის დღიდან, ორჯერ ჩავატარე რეორგანიზაცია, მაგრამ ერთი თანამშრომლის გარდა, არავინ გამითავისუფლებია. ძველი დირექტორიც ჩემი თანამშრომელია და ყველა ძველი კადრი ადგილზეა, ასე რომ, ნამდვილი კოჰაბიტაცია დავნერგე სისხლის ბანკში“, — მიხსნის ქალბატონი ნატალი და ძველი კადრების სამსახურიდან არგაშვების მიზეზებსაც მიმხელს, — **„ჯერ ერთი, პროფესიონალი კადრი არ უნდა დაკარგო. ვინც იცოდა საქმე, სამსახურიდან რატომ უნდა დამეთხოვა? მეორეც, — კარგად ვიცი, რას ნიშნავს, ადამიანი სამსახურის გარეშე რომ რჩება და საარსებო წყარო აღარ აქვს. ცხოვრებაში მსგავსი პერიოდი არაერთხელ მქონია. ბევრჯერ ლუკმა პურის საშოვნელად და შვილის გამოსაკვებად, მარტოხელა დედას, მუშად მუშაობაც მიწევდა. თავის დროზე, სპორტკომიტეტის ხელმძღვანელს, დამლაგებლის საქმეც შემითავსებია, დამატებითი შემოსავალი რომ მქონოდა. დღეს, როცა ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემა ასე მწვავედ დგას, ადამიანებს სამსახურის გარეშე ვერ დავტოვებდი“.**

ძველ კადრებს ახლებიც შეემატა. მხოლოდ სისხლის ბანკში 80-მდე ადამიანია დასაქმებული, ლაბორატორიაში, სადაც ზუსტ დიაგნოზს დაგისვამენ — 30-მდე. ახლახან, სისხლის ბანკმა ჰემატოლოგიის ინსტიტუტი შეიერთა, რომელიც ამავე შენობაში მეოთხე სართულზე განთავსდება. აქაც რამდენიმე ათეული ადამიანი იმუშავებს. სამუშაო ადგილები დაემატა მარნეულშიც, სადაც, არც ისე დიდი ხნის წინ, გაიხსნა სისხლის ბანკი.

ძველ და ახალ თანამშრომლებს შორის კოჰაბიტაცია, მართლაც, თვალშისაცემია, მაგრამ ამაზე მეტად, სისხლის ბანკში სტუმრობისას, გენერალური დირექტორი ნატალი კვანტალიანისა და თანამშრომლების დამოკიდებულება გაგაკვირვებთ — ყველას ღიმილით ესალმება, ყველას ამბავს კითხულობს, უშუალოა და რომ არ იცოდეთ, ვერც იფიქრებთ, რომ „ბოსია“. **„ყოველთვის ასეთი დამოკიდებულება გაქვთ თანამშრომლებთან?“** — გულუბრყვილოდ ვკითხე და მანაც გულწრფელად მიპასუხა, — **„რა თქმა უნდა. ყველა თანამშრომელი ჩემი მეგობარია. ჩემი გუნდის დამსახურებაა, ამხელა საქმე, ასე მოკლე დროში რომ ავაწყვე და დღემდე ვავითარებ, სამომავლო გეგმებსაც, მათთან ერთად განვახორციელებ“.**

სამომავლო გეგმებზე, ოდნავ მოგვიანებით, მანამდე იმ „ტრადიციაზე“ მოგახსენებთ, რომელიც ნატალი კვანტალიანმა, გახსნის დღიდან დანერგა — ყოველ წელს, ბანკმა, დონორთა რაოდენობის რეკორდი უნდა მოხსნას. 2014 წლის იანვრის „გეგმა“ — 1200 დონორი იყო და შესრულდა. სისხლის ბანკში სტუმრობისას შევესწარი, გეგმის შესრულებაში როგორ იყვნენ ჩართულები თანამშრომლებიც — მათთან ერთად, მოხალისე დონორის სტატუსით, სისხლი ნატალი კვანტალიანმაც გაიღო. **„საზღვარგარეთ მიღებულია უფასო დონორები, თუმცა ჩვენ დონორს ფულს ვუხდით და სისხლის შეძენა გვიხდება. დაახლოებით, 400 მგ სისხლში 30 ლარის გადახდა გვიწევს. საბოლოოდ, ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, რამდენ სისხლს გაიღებს ადამიანი“,** — გვიხსნის ქალბატონი ნატალი და გვიმხელს, რომ სისხლის ბანკში უკვე 8 მილიონამდე ლარის ინვესტიცია ჩაიდო. გეგმები სამომავლოდაც ბევრია — მათგან ერთ-ერთი, რომელიც ახლო მომავალში განხორციელდება, ეროვნული სისხლის ბანკის შენობაში, მეხუთე სართულზე სამშობიარო სახლის გახსნაა. **„არასოდეს არსად წავსულვარ. მრავალი სირთულის მიუხედავად, ბიზნესს ყოველთვის სამშობლოში ვაკეთებდი. ქვეყანას, ჩვენს გარდა, ვერავინ ააშენებს. მინდა, მაქსიმალურად გავაკეთო ყველაფერი, რომ ჩემ ხალხსა და ქვეყანას დავეხმარო“,** — ეს ბიზნესმენ ნატალი კვანტალიანის სურვილია. სისხლის ბანკთან დაკავშირებული მთავარი მიზანი კი ასეთია — საქართველოში, სისხლის დეფიციტის გამო, ადამიანების სიცოცხლეს საფრთხე აღარასოდეს შეექმნას.

სისხლის ბანკი 2 წლის წინ და დღეს

სალომე შელიას ფინანსური რჩევები

7 თებერვლიდან — თიბისი ბანკის ახალი პროექტი

სოციალურ ქსელებში ახალი სახე გამოჩნდა. ეს სალომე შელიაა — თიბისი ბანკის ახალი პროექტის ავტორი. მხოლოდ ერთ დღეში სალომე შელიას პრომო-ვიდეო 4000-მდე ადამიანმა ნახა. ვისაც ჯერ არ გინახავთ, გირჩევთ youtube-ზე და თიბისი ბანკის Facebook გვერდზე მოძებნოთ ვიდეო სახელწოდებით „სალომე შელიას ფინანსური რჩევები“ და აუცილებლად ნახოთ.

მანამდე კი გვსურს, უფრო დეტალურად მოგიყვეთ პროექტის შესახებ.

თიბისი ბანკი იწყებს **ქართულ საბანკო სივრცეში ალბათ ერთ-ერთ ყველაზე ინოვაციურ პროექტს „სალომე შელიას ფინანსური რჩევები“,** რომლის მიზანს ადამიანებისთვის სასარგებლო ფინანსური რჩევების მიცემა წარმოადგენს.

პირადი ფინანსების სწორი განკარგვა, ფულის ყაირათიანად ხარჯვა, დაზოგვა — ეს ის თემებია, რომლებიც ასე გვაწუხებს ყოველდღიურ ცხოვრებაში და ხშირად არ ვიცით, ვის მივმართოთ კომპეტენტური რჩევისთვის.

დღეიდან **სალომე შელია** გახდება თქვენი პირადი ფინანსური მრჩეველი და **მოკლე, საინტერესო ვიდეორგოლების საშუალებით შეეცდება, მოგცეთ საჭირო რჩევები, რაც დაგეხმარებათ თქვენი ყოველდღიურობის უზრუნველყოფასა და მომავლის სწორად დაგეგმვაში.**

ალბათ იკითხავთ, რატომ უნდა უსმინოთ ან ენდოთ ადამიანს, რომელიც მანამდე არსად გინახავთ, არც გსმენიათ მის შესახებ?! სალომე შელია გამოცდილი მენეჯერი, კვალიფიციური ბიზნესკონსულტანტი, წარმატებული მეწარმე და პირადი ფინანსების ექსპერტია.

ვიდრე თიბისი ბანკთან ერთად თავის პროექტს წამოიწყებდა, ძალიან წარმატებული მენეჯერული კარიერა ჰქონდა როგორც კომერციულ, ისე საჯარო და არასამთავრობო სექტორებში. სალომეს მენეჯმენტის სფეროში საკონსულტაციო საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. 2006 წლიდან ხელმძღვანელობდა მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანიას IMG, რომელიც თანამშრომლობდა ისეთ ცნობილ კომპანიებთან, როგორებიცაა ფოთის პორტი, „სოკარი“, „აქსისი“ და სხვა მრავალი.

სალომე შელიას აქვს მაგისტრის ხარისხი MBA ბიზნესის ადმინისტრირებაში Case Western Reserve უნივერსიტეტის Weatherhead მენეჯმენტის სკოლიდან; ასევე არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის მაგისტრი.

მიუხედავად იმისა, რომ სალომე შელიას რჩევებს უკვე ბევრი ელოდება საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ დგას ყოფითი ფინანსური პრობლემები, მოსალოდნელი იყო, რომ ზოგიერთი იტყოდა — ფული იყოს და მის ხარჯვას ვერავინ მასწავლისო. ამ კითხვაზე სალომე შელიას საკუთარი შეხედულება აქვს და ამბობს, რომ რაც უფრო ცოტაა ფული, მით მეტად სჭირდება მას მართვა.

„შევეცდები, ჩემი მსმენელი თავიდანვე დავარწმუნო იმაში, რომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ფული ბევრი გაქვთ თუ ცოტა. მართვა ნებისმიერი რაოდენობის ფულს სჭირდება. მცდარი ფინანსური გადაწყვეტილებებისგან დაზღვეული არავინაა – არც მდიდარი, არც ღარიბი. თუმცა, რაც უფრო შეზღუდულია თქვენი ფინანსური სახსრები, მით უფრო სავალალო შეიძლება იყოს არასწორი გადაწყვეტილებების შედეგებიც“, — ამბობს **სალომე შელია**.

მან უკვე ჩაწერა პირველი ვიდეობლოგი, რომელსაც სოციალური მედიის საშუალებით საზოგადოება 7 თებერვალს youtube-ზე და თიბისი ბანკის Facebook გვერდზე იხილავს.

„ყველას გვინდა, გვქონდეს მშვიდი და ხალისიანი ცხოვრება. ფული კი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ჩვენი მატერიალური მდგომარეობა, მოგვწონს ეს თუ არა, გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე, ამიტომ აჯობებს, ჩვენ ვმართოთ ფული და არა ფულმა გვმართოს ჩვენ“, — ეს არის ის ფილოსოფია, რომელზეც დგას სალომე შელიას პროექტი.

თემები, რომლებზეც ფიქრობს, სწავლობს, ამუშავებს და შემდეგ სთავაზობს მომხმარებელს, როგორც ერთგვარ გზამკვლევს, თითოეული ადამიანის ყოველდღიურობაშია, ამიტომ თიბისი ბანკი დრწმუნებულია, რომ სალომეს კომუნიკაცია მოხმარებელთან იქნება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა მათ მიერ სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად.

ამიტომ ყველა, ვისაც გაღელვებთ საკუთარი ფინანსური მდგომარეობა, დაინტერესდით, ჩაერთეთ, უყურეთ და მიიღეთ მონაწილეობა საზოგადოებისთვის სასარგებლო ამ პროექტში.

საქართველო რუსეთს აფრთხილებს

„საქართველო რუსეთს სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით აფრთხილებს!“ — ამ სათაურით აქვეყნებს BBC სტატიას, რომელიც სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობასა და სცენარის შესაძლო განვითარებას ეხება. სტატიაში ვკითხულობთ: **„საქართველო იძლევა გაფრთხილებას, რომ გადადგამს შესაბამის ნაბიჯებს, თუკი რუსეთი შეეცდება საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობაზე პრეტენზიის მხარდაჭერას სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ცერემონიების დროს. პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა გამოთქვა იმედი, რომ ადგილი არ ექნება აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ე. წ. მთავრობებისთვის განკუთვნილ არავითარ ოფიციალურ მისალმებას“.**

სტატიაში ასევე საუბარია, რომ რუსეთი ერთ-ერთია იმ რამდენიმე ქვეყნას შორის, რომლებმაც აღიარეს ამ რეგიონების დამოუკიდებლობა. 2008 წლის ხანმოკლე ომის შემდეგ, საქართველოს არ ჰქონია რაიმე დიპლომატიური კავშირი მოსკოვთან.

თბილისმა უკვე გამოთქვა შეშფოთება იანვარში რუსეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, განავრცოს ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების ზონა აფხაზეთზე, რომელიც 40 კილომეტრზე ნაკლები მანძილითაა დაშორებული სოჭიდან შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებაზე.

„რთული იყო ამ გადაწყვეტილების მიღება ოლიმპიური თამაშებში მონაწილეობასთან დაკავშირებით“, — განაცხადა ბატონმა ღარიბაშვილმა ბრიუსელში ვიზიტის დროს მიცემულ ინტერვიუში. ამ ვიზიტის ფარგლებში იგი ხვდება ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ლიდერებს, — **„თუმცა, სიურპრიზების შემთხვევაში, ჩვენ, რასაკვირველია, ადეკვატურად ვიმოქმედებთ“,** — გაფრთხილების ნიშნად განაცხადა მან.

საქართველოს დედაქალაქ თბილისში იმართება დემონსტრაციები ოლიმპიური თამაშების ბოიკოტირების მოთხოვნით, პრემიერ-მინისტრმა კი განაცხადა, რომ ცდილობს კონსტრუქციულად მიუდგეს ამ საკითხს: **„რუსეთს შევთავაზეთ უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობაც. არ მინდა ვიფიქრო, რომ ადგილი ექნება რაიმე სიურპრიზს, კონფლიქტის საკითხი კვლავაც უდიდესი შეშფოთების საგანია“.**

თუკი სოჭში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ლიდერები აღიარებას ჰპოვებენ, საქართველოში, ქვეყნის მცირერიცხოვანი ოლიმპიური გუნდის შინდაბრუნების მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზრდება.

ბატონმა ღარიბაშვილმა არ ისურვა, დეტალურად განეხილა რეაგირების კონკრეტული ფორმა, თუმცა ოლიმპიური გუნდის შინ დაბრუნების შესაძლებლობა, ცალსახად, წარმოადგენს ერთ-ერთ ვარიანტს.

არც ისე დიდი ხნის წინ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ამტკიცებდა, რომ ორ ქვეყანას შორის პრობლემები შეიქმნა, რადგან საქართველოს არ სურს, არსებული ვითარება აღიაროს.

„რეალობა ის გახლავთ, რომ ჩვენს ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი ქვეყანა არსებობს“, — ამტკიცებს ბატონი ღარიბაშვილი, — **„და ეს ქვეყანა საქართველოა!“.**

31 წლის ირაკლი ღარიბაშვილი მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა ლიდერია, რომელიც სათავეში უდგას დემოკრატიულად არჩეულ მთავრობას. გასაკეთებელი კი ძალიან ბევრი აქვს.

ღარიბაშვილი „უკიდურესი შეშფოთებით“ ადევნებს თვალყურს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს. შარშან მოსკოვის ზეწოლის ქვეშ მოქცეულმა უკრაინის მთავრობამ გეზი შეცვალა და უარი თქვა ევროკავშირთან ფართომასშტაბიან გარიგებაზე ვაჭრობისა და თანამშრომლობის სფეროში, რამაც გამოიწვია კიდეც პროტესტის ტალღა.

საქართველოს კი გადაწყვეტილი აქვს, ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ურთიერთობები დაამყაროს და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისკენ გზა განაგრძოს. საქართველოს პრემიერი იმედოვნებს, რომ 2014 წლის განმავლობაში ოფიციალურად გააფორმებს ხელშეკრულებას ევროკავშირთან პარტნიორობის შესახებ.

სწორედ ამიტომ პროგნოზირებს ბევრი, რომ საქართველოში, ოლიმპიური თამაშების შემდეგ, რუსეთის ზეწოლა გამძაფრდება. თავად ბატონი ღარიბაშვილი კი უარყოფს ამ შესაძლებლობას და რუსეთს მშვიდობისკენ მოუწოდებს: **„ჩვენ ნაკლებად ვართ დამოკიდებულნი რუსეთზე. მას არ აქვს საკმარისი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ბერკეტი ჩვენს წინააღმდეგ... მაგრამ უნდა დავარწმუნოთ რუსეთი, რომ საქართველოს ევროინტეგრაცია საფრთხე არაა. რუსეთის ინტერესიც უნდა იყოს, ჰყავდეს ძლიერი, სანდო და დემოკრატიული მეზობელი“.**

„პია.გე“

„საქართველოს ბანკი“ IFC-სგან 65 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციას მიიღებს

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) კაპიტალიზაციის ფონდი „საქართველოს ბანკში“ 65 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. ამ სიახლის შესახებ ჟურნალისტებს IFC-ის რეგიონულმა მენეჯერმა სამხრეთ კავკასიაში თომას ლუბერკმა და „საქართველოს ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა, ბანკის სათავო ოფისში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე ერთად აუწყეს და შესაბამისი ხელშეკრულებაც გააფორმეს.

ინვესტიცია ქვეყნის უმსხვილეს ბანკს საშუალებას მისცემს, გაზარდოს ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და ხელი შეუწყოს ეკონომიკის მდგრად განვითარებას. IFC-ის კაპიტალიზაციის ფონდს IFC-ის მიერ დაფუძნებული აქტივების მართვის კომპანია განაგებს. სესხი, რომელსაც 10-წლიანი ვადა აქვს, გაზრდის ბანკის სასესხო პორტფელს და გრძელვადიანი დაფინანსების მიღების შესაძლებლობას ქვეყანაში.

„ეს სუბორდინირებული სესხი ხელს შეუწყობს „საქართველოს ბანკს“ კაპიტალის განმტკიცებაში. შედეგად ბანკი დააფინანსებს ქართულ კომპანიებსა და ინდივიდუალურ მსესხებლებს, რაც ეკონომიკურ ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს. ეს პროექტი კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია IFC-სა და „საქართველოს ბანკის“ ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობის გზაზე. ჩვენი პირველი ერთობლივი პროექტი 2000 წელს განხორციელდა, ძირითადად, იპოთეკური დაფინანსების ხაზით, რომელმაც, დაახლოებით, 700 ოჯახს მისცა საშუალება, გაეუმჯობესებინა საცხოვრებელი პირობები. „საქართველოს ბანკი“ ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა IFC-სთან, ეს იყო პირველი ბანკი საქართველოში, რომელმაც ხელი მოაწერა IFC-სთან გლობალური დაფინანსების ხელშეკრულებას. ჩვენი თანამშრომლობა „საქართველოს ბანკთან“ იმ საქმის ნაწილია, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის განვითარებას, ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას. დიდი მადლობა ირაკლი გილაურს და „საქართველოს ბანკის“ გუნდს, რომელმაც წარმატებით დაასრულა ეს ტრანზაქცია“, — განაცხადა IFC-ის რეგიონულმა მენეჯერმა სამხრეთ კავკასიაში **თომას ლუბეკმა**.

ტრანზაქციის წარმატებით დასრულებისთვის, „საქართველოს ბანკის“ გუნდს, ხანგრძლივი და უწყვეტი თანამშრომლობისთვის კი IFC-ის წარმომადგენლებს მადლობა ბანკის გენერალურმა დირექტორმა, ირაკლი გილაურმაც გადაუხადა და აღნიშნული ინვესტიციის მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

ირაკლი გილაური: „ეს სუბორდინირებული სესხი, რომელიც მეორადი კაპიტალია, გააძლიერებს ბანკის მთლიან კაპიტალიზაციას და, ამავდროულად, ხელს შეუწყობს ბანკის ფინანსური რესურსის ღირებულების დაწევას. „საქართველოს ბანკი“ IFC პარტნიორია უკვე მრავალი წლის განმავლობაში. საქართველოში IFC-ის მიერ 650 მილიონი დოლარის ინვესტიციაა განხორციელებული და მათი 1/3-ზე მეტი, „საქართველოს ბანკთანაა“ დაკავშირებული. „საქართველოს ბანკი“ ლიდერია უცხოური ინვესტიციის მოზიდვის კუთხით და დღევანდელი დღეც ამას მოწმობს. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ეს კაპიტალი მოგვცემს საშუალებას, დაახლოებით 500-მილიონი დოლარის დამატებითი სესხი გავცეთ“.

ნინო ლურსმანაშვილი

როგორ უნდა შეთანხმდნენ რუსეთი და საქართველო ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

პოლიტიკური ანალიზი და კონფლიქტის მოგვარების „რეცეპტი“ ჰამლეტ ჭიპაშვილისგან

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ ოკუპირებული ტერიტორიები მთავარი საკითხია, რაზეც საქართველო და რუსეთი უნდა შეთანხმდნენ. მისივე ინფორმაციით, რუსეთთან პირდაპირი დიალოგის ფორმატს, რომელიც საქართველოს ახალი მთავრობის მიდგომაა, ევროკავშირი და აშშ მიესალმება: „წინა ხელისუფლების რადიკალური მიდგომა რუსეთთან მიმართებაში, საზიანო იყო. ევროპელი ლიდერები ამას წუხილით იხსენებენ. მათგან გვაქვს რუსეთთან მიმართებაში ახალი პოლიტიკის სრული მოწონება და მხარს უჭერენ ჩვენს მიდგომას. რუსეთმაც დაიწყო კონსტრუქციული ნაბიჯების გადმოდგმა საქართველოსთან მიმართებაში. ჩვენ უნდა დავაბრუნოთ რუსეთთან ურთიერთობა ნორმალურ ჩარჩოებში. რა თქმა უნდა, ყოველთვის დავრჩებით პრინციპულები მთავარ საკითხში – ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიები, რაზეც ჩვენ და რუსეთი უნდა შევთანხმდეთ. ამ მოლაპარაკებაში, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირისა და აშშ-ს როლს. მიმაჩნია, რომ ამ მიმართულებით წინ უნდა წავიწიოთ“. როგორ უნდა მივაღწიოთ ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით რუსეთთან შეთანხმებას, ამ თემაზე პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილს ვესაუბრებით.

– ძნელია, ბოლომდე ამოიკითხო, რა ჰქონდა მხედველობაში ღარიბაშვილს. ორი აზრი არ არსებობს, რომ მოსკოვთან ურთიერთობების დალაგებაა საჭირო, მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრი ამბობს, რომ რუსეთთან არავითარი მოლაპარაკება არ იქნება, ვიდრე ჩრდილოელ მეზობელს ცხინვალსა და სოხუმში საელჩოები ექნება და სამხედრო ბაზები იდგება. ასე რომ, ურთიერთგამომრიცხავ დამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე. ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრია, მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრი კოალიციის სხვა ჯგუფიდანაა — ალასანიას გუნდს ვგულისხმობ. როგორც ჩანს, კოალიციაში აზრთა სხვადასხვაობაა და საკმაოდ სერიოზული. ამის მიუხედავად, ღარიბაშვილმა რაც თქვა, ყურადსაღებია.

– მაინც რა ვადებშია შესაძლებელი გარკვეული შეთანხმების მიღწევა?

– ჩვენსა და რუსეთს შორის არსებულ პრობლემებს, განსაკუთრებით, ტერიტორიების ოკუპაციასთან დაკავშირებით, ცხადია, მოკლე ვადებში ვერავინ უშველის. ვერც აშშ, ვერც ევროკავშირი მოსკოვს ვერ ათქმევინებს, რომ მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არაა აღიარებული, ამას რუსეთს მამაზეციერიც ვერ აიძულებს. არც ისაა უცხო, რომ დასავლეთი მიესალმება დიალოგის დაწყებას — ყოველთვის ემხრობოდა უკეთეს ურთიერთობებს საქართველოსა და რუსეთს შორის. ყოველ შემთხვევაში, დასავლეთს არასოდეს აწყობდა ლანძღვა-გინება, პროვოკაციები... პარალელურად, ევროპასა და ამერიკაში არსებობს გარკვეული წრეები, რომლებიც მუდმივ დაძაბულობას მიესალმება თბილისსა და მოსკოვს შორის, ამ ფაქტს კი ვერავინ გაექცევა. პრემიერ ღარიბაშვილის განცხადებები ცხადყოფს, რომ დასავლეთი მზადაა, საქართველომ პირდაპირი დიალოგი დაიწყოს რუსეთთან, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, ფანჯიკიძე კი საკითხს ამგვარად აყენებს — მაგიდასთან მანამ არ დავსხდებით, სანამ ეს პოლიტტერიტორიული საკითხები არ მოგვარდება. წაგებული მხარე ასე არ საუბრობს, თან არამარტო წაგებული — გვსურს თუ არა აღიარება, შეუმდგარი სახელმწიფო ვართ. ჩვენ კი, ისე ვლაპარაკობთ, თითქოს, რუსეთი ვიყოთ, რუსეთი კი, პირიქით — საქართველო. ასე არაა და რეალობის აღქმაა საჭირო! რუსეთი დღეს რეალპოლიტიკას იყენებს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში. ასეთივე მიდგომა უნდა ჰქონდეს ჩვენს ხელისუფლებას. ეს სულაც არ ნიშნავს, მთავრობამ ხელი ჩაიქნიოს და შეეგუოს ტერიტორიების დაკარგვას, მაგრამ ოკუპირებული ტერიტორიების თემაზე სერიოზული მსჯელობა რომ დაიწყოს, საჭიროა მუდმივი დიალოგის წარმართვა.

– მუდმივი დიალოგი მხარეებს შორის ჟენევაში ხომ მიმდინარეობს?

– ჟენევის ფორმატში ათასი შუამავალია ჩართული და ეს არ არის რეალპოლიტიკა. მართალია, თვითონ დასავლეთიც მიესალმება, ჩვენც ლამის მზე და მთვარე ამოგვდის ჟენევის ფორმატზე, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი.

– სოჭის ოლიმპიადაში ჩვენი მონაწილეობა ხელს შეუწყობს დიალოგის გააქტიურებას?

– არ ვამბობ, რომ ქართველების მონაწილეობა ოლიმპიადაში გადამჭრელი ნაბიჯი იქნება, მაგრამ ეს დიალოგის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. არ ვიცი, ნახეთ თუ არა, რუსულმა ტელეარხმა „როსია 24“ მთელი სიუჟეტი გააკეთა, როგორ ემზადებიან ქართველი სპორტსმენები სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის. თურმე, რამდენიმე თვეა, იტალიის მთებში ვარჯიშობდნენ. გადაიცა სრული სიუჟეტი, ამ სპორტსმენებთან ინტერვიუებით. ეს უკვე რაღაცას ნიშნავს და რუსი მიესალმება, რომ საქართველო-რუსეთს შორის საუბარი სხვაგვარად წარიმართოს და არა როგორც ჟენევის ფორმატში ან, თუნდაც, აბაშიძე-კარასინის შეხვედრისას. ერთი რამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ — ამ საკითხის დარეგულირებას არაერთი წელი დასჭირდება. რუსეთი პოზიციას ხვალ-ზეგ არ შეცვლის. ეს დიდი სახელმწიფოა და თავის გადაფურთხებულს ადვილად არ ალოკავს, თუმცა ისიც ვიცით, რომელ ბოროტ ნაბიჯს მოჰყვა ამ ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვა.

– თუ ჟენევის ფორმატი, აბაშიძე-კარასინის შეხვედრები შედეგს არ გვაძლევს, გამოსავალი რა არის?

– ჩემი აზრით, დაჟეჟილს გატეხილი სჯობს — უპირველესად, ქვეყნის შიგნით, სხვაგვარი ნაბიჯები უნდა გადავდგათ. ეს აუცილებლად მოიტანს წარმატებას ამ ტერიტორიების უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს მიწები სწრაფად არ დაბრუნდება. სხვანაირი ფორმატი, ახალი გზების ძიებაა საჭირო.

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

პარლამენტი რადიო „მუზას“ გამო კანონში ცვლილებებს არ შეიტანს

ელისო ჩაფიძე: „არ მესმის, რაფომ უნდა დააფინანსოს სახელმწიფო ბიუჯეტმა მაინცდამაინც ეს რადიო“

იანვრის დასაწყისში რადიო „მუზამ“ მაუწყებლობა შეწყვიტა. „ვერსია“ უკვე წერდა, რომ რადიო მაქსიმუმ 2014 წლის დასაწყისამდე შეძლებდა დამოუკიდებლად ფუნქციონირებას, ხელისუფლებამ კი ვერ თუ არ გამონახა გზა „მუზას“ გადასარჩენად. თითქმის ერთი თვეა, დახურულია გადაცემები, გათავისუფლებულები არიან თანამშრომლები, შეიძლება ითქვას, უნიკალური არქივი ყუთებშია ჩალაგებული... დაახლოებით 40 დღეში, შესაძლოა, რადიომ სიხშირეც დაკარგოს. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ, კულტურის მინისტრის, გურამ ოდიშარიას პასუხი ასეთია — კანონი მაუწყებლობის შესახებ არ გვაძლევს უფლებას, დავაფინანსოთ და დავეხმაროთ რადიოს. როგორც ჩანს, ახლა „ბოლო სიტყვა“ პარლამენტმა უნდა თქვას. ფიქრობენ თუ არა დეპუტატები, რომ ქვეყანას „მუზას“ ფორმატის მაუწყებელი სჭირდება და საერთოდ, მსჯელობენ თუ არა ამ საკითხზე პარლამენტარები. როგორც ირკვევა — არა, თუმცა ამაზე ოდნავ მოგვიანებით; მანამდე, იმ სამართლებრივი ჩიხის ლაბირინთებში გავერკვეთ, რომელიც „მუზას“, ნებით თუ უნებლიეთ, პოლიტიკური თუ აპოლიტიკური მოტივით, რამდენიმე თვის წინ ამოქმედებულმა კანონმა შეუქმნა.

„მუზას“ ირგვლივ ვითარება მაშინ დაიძაბა, რაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება მიიღო. 2007 წლიდან ანუ შექმნის დღიდან, საქართველოს პირველი ლედის, სანდრა ელისაბედ რულოვსის მიერ დაარსებულ რადიოს სწორედ საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ აფინანსებდა. რადიოს გენერალური მენეჯერი **შორენა კოპალეიშვილი** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ დაფინანსების საკითხი, ყოველთვის გამჭვირვალე იყო: **„5 წლის განმავლობაში რადიოს „ქართუ“ აფინანსებდა, ხოლო პოლიტიკური ვითარების შეცვლის შემდეგ, ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშვა მიუხედავად იმისა, რომ რადიო აპოლიტიკურია და მის ეთერში არასოდეს გასულა პოლიტიკური რეკლამა, მოწოდება, გადაცემა თუ თოქ-შოუ. „მუზა“ ემსახურებოდა მხოლოდ კულტურის პროპაგანდას!“ 2012 წლიდან „ქართუს“ დაფინანსება რადიოს აღარ აქვს, მაუწყებლის ხელმძღვანელები კი ინვესტორის ძებნას იწყებენ. მივმართეთ რამდენიმე ფონდს, მეგობარს... მათ გარკვეული დახმარება გაგვიწიეს, მაგრამ რადიოს გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა არაა მარტივი, მით უმეტეს, აქ ნაკლებია კომერციული ინტერესი. გვეუბნებოდნენ, რატომ ეძებთ ინვესტორს, ქვეყნის პრესტიჟია, ამ ფორმატის რადიო არსებობდეს, მიმართეთ მთავრობასო“.** ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მედიასაშუალებები, რომელთა ეთერშიც კლასიკური მუსიკა ჟღერს. ქართული კანონმდებლობა კრძალავს, სამინისტროს ლიცენზია ჰქონდეს მაუწყებელზე, თუმცა გურამ ოდიშარიამ, სანდრა რულოვსთან ერთად, 2013 წლის 27 მაისს ჯერ ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლის თანახმად, „მუზა“ სამინისტროს უნდა გადასცემოდა, 4 თვის შემდეგ კი აღმოაჩინა, რომ თურმე, ამის უფლება არ ჰქონდა (?!). მემორანდუმის თანახმად, კლასიკური, ქართული, ტრადიციული და სასულიერო მუსიკის განვითარებაში „მუზას“ მნიშვნელობის გათვალისწინებით, გამოთქვეს მზადყოფნა, ურთიერთთანამშრომლობით ხელი შეუწყონ რადიოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნებასა და ფუნქციონირებას. **„მემორანდუმის გაფორმების შემდეგ ბედნიერები ვიყავით. მნიშვნელოვანი იყო, რომ რადიო გადაეცემოდა სახელმწიფოს და არა რომელიმე კერძო პირს ან სტრუქტურას, რაც მეტ მნიშვნელობას შესძენდა მას“,** — აცხადებს შორენა კოპალეიშვილი. სამართლებრივ ჩიხში ვითარება სწორედ ამ დოკუმენტის გაფორმების შემდეგ შევიდა — რამდენიმე თვეში ოდიშარიამ აღმოაჩინა, რომ მის უწყებას მაუწყებლის მესვეურობის უფლებას კანონი არ აძლევდა: **„ამის შემდეგ გამოიძებნა პრობლემის მოგვარების კანონიერი გზა — კულტურის სამინისტროს საკანონმდებლო ინიციატივა უნდა მოემზადებინა, რომლის თანახმად, გამონაკლისის სახით მიეცემოდა არაკომერციული, მხოლოდ კულტურის პროპაგანდაზე ორიენტირებული მედიასაშუალების ფლობის უფლება. ამაზე თანხმობა გასცა იუსტიციის სამინისტრომ, კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ... საბოლოოდ, მაცნობეს, რომ ვერაფერს აკეთებენ, რადგან სამართლებრივ ჩიხში ვართ“,** — აცხადებს შორენა კოპალეიშვილი და გვიმხელს, რომ სამინისტროში მისთვის არავის დაუკონკრეტებია, ვინ უნდა გამოიყვანოს ვითარება ჩიხიდან.

ამასობაში, რადიოს დანაზოგი გაიხარჯა, თემატური გადაცემები დაიხურა, გაათავისუფლეს თანამშრომლები, ძირითადი ეთერი ე.წ. ნონსტოპმა დაიკავა... „მუზას“ ჩანაწერების კოორდინატორი **თეა მუქერია** ამბობს, რომ რადიოს გადარჩენა მხოლოდ სიხშირის შენარჩუნებასა და მუსიკის გაშვებას არ ნიშნავს: **„მთავარია, შეინარჩუნო ფორმატი და გუნდი, ვინც „მუზა“ შექმნა. ამ ადამიანებმა საარსებო წყარო დაკარგეს. პრობლემის მოგვარება დროში თუ გაიწელა, შეიძლება ძველი გუნდის დაბრუნებაც გართულდეს და ახალი კადრების მოყვანაც, რადგან ასეთი სპეციფიკური გადაცემების წამყვანი ჟურნალისტი საქართველოში ცოტაა“.** პროგრამების მენეჯერის ასისტენტი **ტატო ჯინჯიხაძე** კი იმ მაღალი ხარისხის აპარატურისა და უკვე შექმნილი „ოქროს ფონდის“ გაურკვეველ მომავალზე წუხს, რომელიც „მუზას“ საკუთრებაშია: **„მხოლოდ რადიო „მუზას“ აქვს აპარატურა, რომელსაც შეუძლია, კლასიკური მუსიკის კონცერტების ჩაწერა მაღალი ხარისხით. ტელევიზიებში კონცერტების ტრანსლირებას ხმად „მუზას“ ჩანაწერი ედება. „მეცომ“ პირველი და ერთადერთი პროექტი საქართველოში სწორედ „მუზას“ ტექნიკურ აღჭურვილობასა და ბაზაზე დაყრდნობით განახორციელა. კონცერტების ჩანაწერებით, მომავალ თაობებს, წარმოდგენა შეექმნებათ, რა ხდებოდა 21-ე საუკუნის საქართველოში ამ სფეროში. „მუზა“ რადიო კი არა, კულტურული ჟურნალისტიკის დარგია და მისი გაქრობა დაუშვებელია“.**

ბევრჯერ ითქვა, რომ რადიო „მუზა“ პოლიტიკასა და სანდრა რულოვსის ფაქტორს ეწირება, შორენა კოპალეიშვილი „ვერსიას“ გამოუტყდა, რომ რულოვსი მზად იყო, გამდგარიყო გვერდით, იურიდიულ დოკუმენტებშიც აღარ დაფიქსირებულიყო და შეეწყვიტა საავტორო გადაცემები, ოღონდ „მუზა“ გადაერჩინა. ამ ფონზე, რადიოს გენერალური მენეჯერი მიიჩნევს, რომ „მუზა“ ჩიხში პოლიტიკური მოტივით კი არა, იმის გამო შევიდა, რომ მისი მნიშვნელობა ვერ შეაფასეს... არადა, არაა გამორიცხული, ყველაფერი პოლიტიკურ თამაშებს უკავშირდებოდეს და ივანიშვილის ხელისუფლებას სააკაშვილის მეუღლის რადიო ყელში ფხასავით გასჩხეროდა, თუმცა, თუ ახალ მთავრობას ამ რადიოს არსებობა არ აწყობდა, საერთოდ, რატომ გაფორმდა მემორანდუმი? საბოლოოდ, ყველაფერი მაინც პოლიტიკურ ნებამდე მიდის —„მუზას“ ფორმატის რადიოს არსებობა ხელისუფლებისთვის ან პრიორიტეტულია, ან არა. ამაზე კულტურის სამინისტროში ამგვარი პასუხი აქვთ — **„კანონში მაუწყებლობის შესახებ წერია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს უფლება, ჰქონდეს ლიცენზია მაუწყებელზე. „მუზა“ ძალიან მნიშვნელოვანია, უნდა გადავარჩინოთ, მაგრამ სამინისტროს ხელ-ფეხს კანონი უბოჭავს“.**

ახლა მთავარია, რას გადაწყვეტენ პარლამენტში. არადა, როცა სახეზე გვაქვს „სასაცილოდ“ მონათლული კანონების დაჩქარებული წესით მიღება, როცა სამსახურს კარგავენ პროფესიონალები და ერთი ხელის მოსმით ინგრევა წლების განმავლობაში ნაშენები, როცა მომავალი თაობების გადარჩენის სპეკულირებით ვიღებთ კანონებს თამბაქოს, აზარტული თამაშების, პრეზერვატივებისა და, ღამის, სერიალების აკრძალვის შესახებ, ერთი საკანონმდებლო ინიციატივის მომზადებასა და გატანას მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდება.

იმის გასარკვევად, აქვს თუ არა ხელისუფლებას „მუზის“ გადარჩენის პოლიტიკური ნება, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, **ელისო ჩაფიძეს** დავუკავშირდით.

— ძალიან მომწონს რადიო „მუზა“, მაგრამ ასევე მომწონს რადიო „უცნობი“ და „მაესტრო“... არ მესმის, რატომ უნდა დაფინანსოს სახელმწიფო ბიუჯეტმა მაინცდამაინც „მუზა“. ეს წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა, რადგან პირველი ლედის პატრონაჟით შექმნილი რადიოა, მაგრამ დღესაც, მგონი, არც ქალბატონი რულოვსი და არც ბატონი მიხეილ სააკაშვილი ფინანსების ნაკლებობას არ უნდა განიცდიდნენ. ვერ გამიგია, როგორ ან რატომ შეიძლება რადიო „მუზას“ გამო შევიდეს კანონში ცვლილება?

— თუნდაც იმიტომ, რომ ეს არის ერთადერთი კლასიკური რადიო.

— რატომ არ შეიძლება, საზოგადოებრივი მაუწყებლის რომელიმე რადიოსიხშირეზე გავიდეს მსგავსი მუსიკა? ან პარლამენტი რა შუაშია, საერთოდ, რადიოს დაფინანსებასთან?

— კულტურის მინისტრის თქმით, სამართლებრივი ჩიხიდან ერთადერთი გამოსავალი კანონში ცვლილების შეტანაა, რასაც პარლამენტმა უნდა დაუჭიროს მხარი.

— მაშინ, მაინტერესებს, რატომ არ აფინანსებს სახელმწიფო ბიუჯეტი ჩემთვის საყვარელ გაზეთ „რეზონანსს“, რომელშიც 17 წელი ვიმუშავე და მაქვს პრეტენზია, რომ არის განსაკუთრებული და ობიექტურად გადმოსცემს ინფორმაციას ისევე, როგორც თქვენი გაზეთი.

— საქმეც ეგაა, რომ ჩვენი გაზეთები საზოგადოებრივ-პოლიტიკურია, „მუზა“ კი მხოლოდ კულტურის, კლასიკური მუსიკის პროპაგანდას ემსახურება.

— ვიმეორებ, საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო საქმიანობისა და მათ შორის, კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მაუწყებლობის შესახებ კანონით, ვაფინანსებთ საზოგადოებრივ მაუწყებელს, მთლიანი შიდაპროდუქტის 0,14%-ით. შესაბამისად, გვაქვს საზოგადოებრივი მაუწყებელი, მისი „აჭარის ტელევიზია“, „მეორე არხი“ და მასთან დაკავშირებული ორი რადიოსიხშირე. ვფიქრობ, საკმარისზე მეტია ისეთ ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის, როგორიც გახლავთ საქართველო.

— ეს თქვენი პოზიციაა თუ კომიტეტის. პარლამენტში ეს საკითხი არც კი განიხილება?

— ეს არის ჩემი მოსაზრება, მაგრამ შეთანხმებული პოზიცია ამ თემაზე არც გვაქვს. რადიო „მუზას“ ვუსურვებ წარმატებას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან რომ შეიძლებოდეს პირდაპირი წესით რომელიმე მაუწყებლის დაფინანსება, ვიფიქრებდი, რა უფრო პრიორიტეტულია, კლასიკური მუსიკა, საპატრიარქოს რელიგიური გადაცემები, შემეცნებითი გადაცემა თუ სხვა. წარმატებას ვუსურვებ რადიო „მუზას“. დაინტერესებული ვარ, ამ რადიომ იარსებოს, მაგრამ გამონახონ რაიმე სხვა გზა.

— მაგალითად?

— მაქვს ინფორმაცია, რომ საელჩოებში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ფონდებში გამოცხადებულია კონკურსი. მიიღონ პატიოსან კონკურსებში მონაწილეობა, გაიმარჯვონ, მოიპოვონ დაფინანსება და წარმატებით გააგრძელონ საქმიანობა.

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

სამოქალაქო ავიაციის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მფრინავები ყოველთვიური შემწეობის აღდგენას ითხოვენ და შიმშილობით იმუქრებიან



გაუთავებელი დავა ეკონომიკისა და ჯანდაცვის სამინისტროებს შორის — რომელმა უწყებამ უნდა გასცეს 516-ლარიანი შემწეობა?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ავიატორები მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილების აღსრულებას ითხოვენ. პროფესიული დაავადების გამო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ავიატორები წლების განმავლობაში იღებდნენ ყოველთვიურ დახმარებას — 516 ლარს, 2007 წელს, პრემიერ-მინისტრმა, ზურაბ ნოღაიდელმა გამოსცა დადგენილება და ავიატორებს ყოველთვიური დახმარება შეუწყვიტა. 2013 წლის 1 მარტს, საქართველოს მთავრობამ ნოღაიდელის დადგენილება ძალადაკარგულად სცნო, მაგრამ ავიატორები მაინც დახმარების გარეშე დარჩნენ. ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ ეს დახმარება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა გასცეს, დავით სერგეენკოს უწყებაში კი ხელს ეკონომიკის სამინისტროსკენ იშვერენ. იმ შემთხვევაში, თუ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, ტრავმირებული, მოხუცი მფრინავები საქართველოს კანცელარიის ტერიტორიაზე პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართავენ და შიმშილობას დაიწყებენ!

2007 წელს, პრემიერ-მინისტრმა, ზურაბ ნოღაიდელმა სტრუქტურული რეორგანიზაცია განახორციელა და საჰაერო ტრანსპორტი ეკონომიკის სამინისტროს დაუქვემდებარა. ეკონომიკის სამინისტრომ შესაშური ოპერატიულობით აიღო საკუთარ თავზე სამოქალაქო ავიაციის მართვა, მაგრამ 2007 წლის სექტემბრიდან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ავიატორებს დახმარება შეუწყვიტა. ამას წინ უსწრებდა ზურაბ ნოღაიდელის მიერ 2007 წლის 24 მარტს მიღებული №53 დადგენილება — „შრომითი მოვალეობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“, რის საფუძველზეც შეუწყდათ ავიატორებს ყოველთვიური დახმარება. 2013 წლის 1 მარტს, საქართველოს მთავრობამ, №45 დადგენილების საფუძველზე, 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილება ძალადაკარგულად გამოაცხადა და, შესაბამისად, სამოქალაქო ავიაციის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ავიატორები საკუთარი უფლებების აღდგენას ითხოვენ.

„ვერსიას“ ერთ-ერთი ავიატორი **ალფრედ მეტრეველი** დაუკავშირდა და სამოქალაქო ავიაციის ინვალიდი ავიატორების კოლექტიური განცხადება გაგვაცნო: **„შექმნილმა მდგომარეობამ გვაიძულა, მოგმართოთ იმედით, რომ უყურადღებოდ არ დატოვებთ ჩვენს თხოვნას და სამართლიანობის აღდგენაში დაგვეხმარებით. ჩვენი პროფესიიდან გამომდინარე, ჯანმრთელობისთვის მავნე პირობებში გვიხდებოდა მუშაობა. ფსიქო-ნევრული სტრესის, დიდი ფიზიკური და ინტელექტუალური დატვირთვის, ექსტრემალური სიტუაციებისა და უბედური შემთხვევების გამო, მივიღეთ პროფესიული დაავადებები. არსებული კანონმდებლობით, ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება სასამართლოს გადაწყვეტილებით, საჰაერო ტრანსპორტის ადმინისტრაციას ეკისრებოდა. შესაბამისად, რეგულარულად ვიღებდით სასამართლოს მიერ დადგენილ სარჩოს, თვეში 516 ლარის ოდენობით. როგორც იცით, ვითარება 2007 წელს, მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ნოღაიდელის მიერ 24 მარტს მიღებული №53 დადგენილების საფუძველზე შეიცვალა და დახმარება შეგვიწყდა. ეს დადგენილება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ გაასაჩივრა, რადგან საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ-მეორე პუნქტებს, ასევე 39-42-ე მუხლებს ეწინააღმდეგებოდა. კონსტიტუციის ამ მუხლების მიხედვით, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფოს სახსრებიდან“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას, ალფრედ მეტრეველმა აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ავიატორებმა კოლექტიური განცხადებით მიმართეს საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მანანა კობახიძეს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ეკა ბესელიას, პარლამენტის წევრს ელისო ჩაფიძეს და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს თამაზ ავდალიანს: **„სამწუხაროდ, ეკონომიკისა და ჯანდაცვის სამინისტროებს შორის არსებული გაუთავებელი დავის გამო — კონკრეტულად რომელი უწყების ასიგნებებით უნდა მოხდეს ყოველთვიური სარჩოს — 516 ლარის აღდგენა და დავალიანების დაფარვა — ჩვენ, ინვალიდ ავიატორებს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს შორის „გვაბურთავებენ“. აღმაშფოთებელია ისიც, რომ ჩვენს სამ კოლეგას ეს დახმარება აღუდგინეს, მაგრამ არ ვიცით, რა პრინციპით გამოარჩიეს ისინი, დანარჩენი მფრინავები კვლავ უყურადღებოდ დავრჩით. როგორ შეიძლება, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში, ერთსა და იმავე უწყებაში, ერთი და იგივე პროფესიის ადამიანები, რომლებსაც ერთნაირი საწარმოო ტრავმა გვაქვს, ნაწილი იღებდეს სარჩოს, ნაწილი კი, სრულიად უყურადღებოდ, სარჩოს გარეშე იყოს? ჩვენი თხოვნაა, დაუყოვნებლად აღდგეს სამართლიანობა და მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილება შესრულდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტრავმირებული, მძიმე ავადმყოფი, მოხუცი მფრინავები დავიწყებთ შიმშილობას მთავრობის კანცელარიის ტერიტორიაზე. დაე, ყველამ და, განსაკუთრებით, ევროპამ დაინახოს, როგორ ირღვევა საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მფრინავების კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები! ნუთუ, 18 ინვალიდი მფრინავის შენახვა სახელმწიფოს დააზარალებს? ჩვენ, ამაყი პროფესიის მქონე ხალხს, უყურადღებობა და დამცირება არ გვეკადრება!“**

ალფრედ მეტრეველმა „ვერსიას“ ისიც განუცხადა, რომ მათთვის პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, კონკრეტულად, ეკონომიკის სამინისტრო დაუნიშნავს ყოველთვიურ სარჩოს თუ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. მთავარია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მფრინავებმა კონსტიტუციით გარანტირებული, ყოველთვიური შემწეობა მიიღონ. 2007 წლიდან დღემდე, იმის გამო, რომ ზურაბ ნოღაიდელის დადგენილებით, ყოველთვიური სარჩო შეუწყვიტეს, სიდუხჭირესა და გაუსაძლის პირობებში, 15 მფრინავი გარდაიცვალა.

2003 წელს ჩადენილი დანაშაული გახსნილია

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და თბილისის პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 2003 წელს ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: 1969 წელს დაბადებული გოჩა მ. და შსს-ს სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტის მეშვიდე სამმართველოს უფროსი, 1968 წელს დაბადებული მინდია არაბული დააკავეს, ხოლო ამავე დანაშაულის თანამონაწილეები – 1978 წელს დაბადებული მამუკა ჩ. და 1971 წელს დაბადებული, ამჟამად სომხეთის რესპუბლიკაში პატიმრობაში მყოფი რევაზ გ. ამხილეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მინდია არაბულმა განიზრახა თავისი მეგობრის, დავით ჩხეიძის კუთვნილ, დიდი ოდენობით თანხას მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდა. ამისთვის იგი დაუკავშირდა გოჩა მ-ს, მამუკა ჩ-ს და რევაზ გ-ს, გაანდო მათ დანაშაულებრივი განზრახვა და შესთავაზა, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ იმჟამინდელ შსს-ს სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტის საკადრო რესურსების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, 1961 წელს დაბადებულ დავით ჩხეიძეს, დაუფლებოდნენ მის კუთვნილ ფულს და შემდეგ გაენაწილებინათ თანხა ერთმანეთში, რასაც ისინი დათანხმდნენ.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ მინდია არაბულმა თანამზრახველებს შეატყობინა, რა დროს და რა ადგილას იქნებოდა დავით ჩხეიძე, რომელსაც თან უნდა ჰქონოდა დიდი ოდენობით თანხა. 2003 წლის 3 დეკემბერს, მინდია არაბულის დავალებით, გოჩა მ, მამუკა ჩ. და რევაზ გ. ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში ყაჩაღურად თავს დაესხნენ დავით ჩხეიძეს. შემთხვევას შეესწრო საქართველოს იმჟამინდელი სახელმწიფო უშიშროების თანამშრომელი, 1976 წელს დაბადებული ირაკლი ბასილაშვილი. თავდამსხმელებმა ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით დავით ჩხეიძეს 25 ათასი აშშ დოლარი, ხოლო ირაკლი ბასილაშვილს „ბერეტა“-ს ტიპის პისტოლეტი გასტაცეს. დაყაჩაღებისას გოჩა მ-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან ერთი გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა ბასილაშვილს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ბრალდებულები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გოჩა მ. 2014 წლის 28 იანვარს ბორჯომის რაიონის სოფელ წაღვერში იმ დროს დააკავეს, როცა მიმალვას აპირებდა, ხოლო მინდია არაბული 1 თებერვალს ყაზბეგის რაიონში, ლარსის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში, თავის სამუშაო კაბინეტში დააკავეს.

გამოძიება მიმდინარეობს დიდი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით) და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ფაქტზე (საქართველოს სსკ-ს 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით). გამოძიებას აწარმოებს თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ ყაზბეგის გამზირზე სპეცოპერაცია ჩაატარა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ეროვნებით ჩინელი საქართველოს მოქალაქე, 1956 წელს დაბადებული ივანე კ. დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულს მიმდინარე წლის 4 თებერვალს, შუადღეს, თბილისში, ყაზბეგის გამზირზე მის მიერ ნაქირავებ ვალუტის გადამცვლელ პუნქტში, გვერდით მდებარე სავალუტო ჯიხურის მეპატრონესთან, 1958 წელს დაბადებულ გენადი ლომიძესთან თანხასთან დაკავშირებით ურთიერთშელაპარაკება მოუვიდა, რის შემდეგაც ცეცხლსასროლი იარაღიდან გულმკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. გენადი ლომიძე მძიმე ჭრილობის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

ბრალდებული ჯიხურში ჩაიკეტა და თვითმკვლელობით იმუქრებოდა. შემთხვევის ადგილზე გამოცხადებულმა სამართალდამცველებმა 15 — საათიანი მოლაპარაკების შემდეგ ბრალდებულის განიარაღება შეძლეს და ადგილზე დააკავეს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

„კადნიერი“ ქართველი ახალგაზრდა, რომლის წიგნებით ამერიკის უნივერსიტეტებში ასწავლიან

ბავშვობიდან ისტორიამ გაიტაცა... 16 წლის ასაკში წერს საფრანგეთის იმპერატორის ბიოგრაფიას. ნაპოლეონის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტს, ბენ ვეიდერს „პატარა წერილით“ უკავშირდება, ხოლო შემდეგ, როგორც თავად ამბობს, „კადნიერი ახალგაზრდა“ ვეიდერის წიგნზე რეცენზიას ერთ-ერთ უცხოურ გამოცემაშიც აქვეყნებს... პასუხები და შეთავაზებები მოულოდნელია. ემშვიდობება სამშობლოს... ამ დღის შემდეგ კი 14 წელი გადის... ქართველი ისტორიკოსი ალექსანდრე მიქაბერიძე უკვე დიდი ხანია მოღვაწეობს ამერიკაში. მან ნაპოლეონის ცხოვრებაზე და ნაპოლეონის ომებზე მნიშვნელოვანი წიგნები გამოსცა, რომლებსაც ამერიკის უნივერსიტეტებში ნაპოლეონის ეპოქის კურსების სწავლებისას იყენებენ. ახალგაზრდა ქართველი ისტორიკოსი ლუიზიანას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია. ის პირველი ინგლისურენოვანი ქართული ისტორიული ლექსიკონის ავტორია, რომელიც აშშ-ში გამოიცა. საერთაშორისო კონსორციუმის დირექტორთა საბჭოს წევრი და ნაპოლეონის საერთაშორისო საზოგადოების სამეცნიერო ჟურნალის მთავარი რედაქტორი — ეს ალექსანდრე მიქაბერიძის წარმატებების არასრული ჩამონათვალია.

— ბენ ვეიდერთან გაგზავნილმა ერთმა პატარა წერილმა თქვენი ცხოვრება მთლიანად შეცვალა. გჯეროდათ, რომ რევოლუციური ეპოქის განსაკუთრებული ინტერესი ოდესმე ასეთივე განსაკუთრებულ წარმატებას მოგიტანდათ?

— საქართველოდან, 14 წლის წინ, სრულიად მოულოდნელად გავემგზავრე. ბავშვობიდან საქართველოს ისტორიით ვიყავი გატაცებული, შემდეგ რევოლუციურმა ეპოქამ დამაინტერესა. კარგად მახსოვს ის დღე — 11-12 წლის ვიქნებოდი, თამარ მეფის გამზირზე მივსეირნობდი და წიგნების მაღაზიაში შევიარე, სადაც აღმოვაჩინე ცნობილი საბჭოთა ისტორიკოსის, ა. მანფრედის წიგნი ნაპოლეონზე. ამ წიგნმა დიდი როლი შეასეულა ჩემი ინტერესების გაღვივებაში. მისი წაკითხვის შემდეგ ნაპოლეონზე მოვიძიე თითქმის ყველა ქართულენოვანი თუ რუსული ლიტერატურა და მალე სახლში საკმაოდ მოზრდილი ბიბლიოთეკაც შევქმენი. 16 წლისამ გადავწყვიტე ნაპოლეონის ბიოგრაფიის დაწერა. 300 გვერდამდე დავწერე კიდეც (ახლა რომ გადავხედავ ხოლმე, მეცინება). მიუხედავად ამისა, არასოდეს მეგონა, ისტორიულ მეცნიერებას თუ გავყვებოდი. ჩავაბარე თსუ-ში, საერთაშორისო სამართლის განხრით, ადამიანთა უფლებების საკითხებზე ვმუშაობდი. საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობისას ჩემი პირველი წიგნი გამოვეცი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოზე და მუშაობის გაგრძელებას, სწორედ ამ განხრით ვაპირებდი, მაგრამ შემდეგ მეტად მოულოდნელი ამბავი შემემთხვა. ინტერნეტით დავუკავშირდი ნაპოლეონის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტს, ბენ ვეიდერს, რომელსაც ახლადგამოცემული ჰქონდა წიგნი წმ. ელენეს კუნძულზე ნაპოლეონის გადასახლებასა და გარდაცვალებაზე. მივწერე, რომ ვწერდი ერთი პატარა, ბედკრული ქვეყნიდან, მაინტერესებდა ნაპოლეონი და მისი წიგნის შეძენა მსურდა. მოულოდნელად, მიპასუხა და წიგნების ერთი ყუთი გამომიგზავნა, მათ შორის თავისი ნამუშევარიც. ჩავუჯექი და მალე, მის წიგნზე რეცენზია დავწერე (ახალგაზრდა და კადნიერი ვიყავი, თორემ 20 წლის ასაკში რის მცოდნე ვიქნებოდი) და ერთ-ერთ უცხოურ გამოცემაში გავგზავნე. მოეწონათ და გამოაქვეყნეს. ვეიდერმა წაიკითხა ეს სტატია და მისგან მივიღე წერილი, რომელშიც ჩემს ზოგიერთ შენიშვნას პასუხობდა. ერთმანეთში მიმოწერა გავაჩაღეთ. ალბათ, მოვეწონე, ვინაიდან მალე დამპატიჟა ნაპოლეონის მიერ სირია-პალესტინაში ლაშქრობის 200 წლის აღსანიშნავად ისრაელში მოწყობილ საერთაშორისო კონფერენციაზე. იმხანად (1997-1998), ისრაელში წასვლაზე კი არა, ყოველდღიურ გასაჭირზე ფიქრში ვიყავით. საგარეო საქმეთა სამინისტროში ისედაც მცირე ხელფასებს, რამდენიმე თვის დაგვიანებით გვაძლევდნენ. მოკლედ, მივწერე ვეიდერს, რომ ვერ შევძლებდი ჩასვლას. შემომთავაზა — ყველა ხარჯს დავფარავო, ამაზე ვინ იტყოდა უარს. მოკლედ, 1999 წლის ზაფხულში ისრაელში ჩავედი, თელ-ავივის უნივერსიტეტში მოკლე მოხსენებით გამოვედი და ბევრი საერთაშორისო მკვლევარი გავიცანი. მათ შორის — ისტორიკოსები ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სადაც, არსებობს ნაპოლეონისა და საფრანგეთის რევოლუციის ინსტიტუტი. მათ შემომთავაზეს ჩავსულიყავი აშშ-ში და კვლევითი სამუშაო დამეწყო. მგზავრობის, სწავლებისა და მუშაობის ყველა ხარჯს ინსტიტუტი ფარავდა. 2000 წლის 15 აგვისტოს (ნაპოლეონის დაბადების დღეს) სამშობლოს გამოვემშვიდობე. მას შემდეგ ამერიკაში ვმოღვაწეობ და გარკვეულ წარმატებებსაც მივაღწიე.

— წლის საუკეთესო წიგნისთვის ნაპოლეონის საერთაშორისო საზოგადოების ლიტერატურული პრიზი დაიმსახურეთ. არადა, მის შესახებ ნახევარ მილიონზე მეტი წიგნია დაწერილი. რამ განსაზღვრა თქვენი აღიარება, რა თქვით ახალი? და კიდევ, თქვენი წიგნები მართლა 300 დოლარამდე ღირს?

— არ ვიცი, რომელ წიგნებზე მეკითხებით. არ მახსოვს, რომელიმეს ასეთი მაღალი ფასი ჰქონოდა, თუმცა ჩემი ორი ენციკლოპედია, ისლამური სამყაროს სამხედრო ისტორიისა და სამხედრო დანაშაულების ისტორიის შესახებ, 200 დოლარამდე ღირს. ჩემი სპეციალობა რევოლუციური ეპოქაა და ნაპოლეონზე დაწერილი წლის საუკეთესო წიგნის პრემია ორჯერ მოვიპოვე: ერთი ნაპოლეონის წინააღმდეგ მებრძოლი რუსეთის ოფიცერთა კორპუსზე, ხოლო მეორე ბოროდინოს ბრძოლის შესახებ დაწერილი წიგნისთვის. მართლაც, ნაპოლეონის შესახებ ასობით ათასი წიგნია დაწერილი. ის ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესწავლილი ისტორიული პიროვნებაა. ამდენად, საჭიროა ახლებური მიდგომა. ძალიან გამიმართლა, რომ ნაპოლეონის ომებზე არსებული წიგნების უმრავლესობა მხოლოდ ფრანგულ და ინგლისურ წყაროებს ეყრდნობა და ამდენად, მოვლენებს, თუ პიროვნებებს ცალსახად წარმოაჩენს. წარმოიდგინეთ შაჰ-აბასის საქართველოში შემოსევა მხოლოდ ირანულ წყაროებზე იყო აღწერილი. იგივე ვითარებაა ნაპოლეონის ომებთან დაკავშირებით. ახალი წყაროების გამოყენებაა საჭირო და სწორედ ამას ვემსახურები. ახლახან დავასრულე სამტომეული რუსეთში ნაპოლეონის ლაშქრობაზე. ამაზე ბევრი ნამუშევარი არსებობს, მაგრამ თითქმის ყველა ფრანგული თვალთახედვითაა დაწერილი. მე კი რუსული, პოლონური თუ გერმანული მხრიდან ვაფასებ და ბევრ სიახლეს წარმოვაჩენ. მაგალითად, დასავლეთში დიდი ხანი მიაჩნდათ, რომ ბერეზინას ბრძოლა, სადაც ნაპოლეონმა მოახერხა რუსების ალყის გარღვევა და რუსეთისგან თავდაღწევა, ნაპოლეონის ბრწყინვალე გეგმის შედეგი იყო. 2007 წელს დავინტერესდი ამ საკითხით — 3 წელი ვიკვლევდი რუსული, პოლონური, ჰოლანდიური და გერმანული საარქივო და პირველადი (მემუარები, წერილები, ა.შ) წყაროების საფუძველზე, 2010 წელს კი გამოვეცი წიგნი, რომელშიც დეტალურად ავხსენი, რომ ბერეზინას ბრძოლა ნაპოლეონის ჩანაფიქრი კი არა, რამდენიმე ფაქტორის, მათ შორის რუსული ჯარის მხედართმთავრების უსუსურობის შედეგი იყო. სწორედ ასეთი მიდგომა განასხვავებს ჩემს წიგნებს.

— ამბობთ, რომ ისტორიამ ბავშვობიდან გაგიტაცათ. ნაპოლეონი კი ამბობს, რომ „ისტორია ზღაპარია“... მას თავისებური შეხედულებები აქვს რევოლუციაზეც... იზიარებთ მის მოსაზრებებს?

— ნაპოლეონი ამბობს, რომ „ისტორია არის იმ სიცრუეთა ერთიანობა, რომელზედაც ხალხი შეთანხმდა“ და, გარკვეულწილად, მართალია, ვინაიდან საზოგადოებაში ბევრი ისტორიული მითი თუ ტყუილი არსებობს. ეს ეროვნულ ისტორიასაც ეხება, მაგრამ პროფესიონალი ისტორიკოსების მოღვაწეობა — არქივებში მუშაობა, მასალების საფუძვლიანი შესწავლა, შეფასება, კრიტიკული მიდგომა... დიდ როლს უნდა ასრულებდეს „ისტორიული ზღაპრების“ გაბათილების საქმეში.

— ნაპოლეონზე წიგნის გამოცემას ქართულ ენაზე აპირებთ?

— პირველი ნაბიჯი უკვე გადავდგი. 2012 წელს, ჩემს მეგობართან, ახალგაზრდა ისტორიკოს ნიკა ხოფერიასთან ერთად, გამოვეცი ნაპოლეონის პირადი მცველის, მამლუქი რუსტამის მემუარები. ასევე, ვასრულებ მუშაობას ახალ წიგნზე, რომელიც ნაპოლეონის მარშლებს შეეხება. გეგმაში მაქვს ქართულ ენაზე ნაპოლეონზე ვრცელი წიგნი დავწერო, მაგრამ ეს სამომავლო საქმეა, რადგან ახლა რამდენიმე ინგლისურენოვან ხელნაწერზე ვმუშაობ.

— შეგიძლიათ, თუნდაც პატარა, მაგრამ აქამდე უცნობი ისტორია გვიამბოთ ნაპოლეონის ცხოვრებიდან?

— ნაპოლეონის სამხედრო მოღვაწეობა კარგადაა ცნობილი, პირადი ცხოვრება — ნაკლებად, მკითხველმა შეიძლება არ იცოდეს მისი ზოგი თვისება. ნაპოლეონი მცივანა იყო და ძალიან უყვარდა ცხელი აბაზანის მიღება. აბაზანაში ხშირად ორ საათზე მეტ ხანს ატარებდა, ვერ იტანდა კატებს და ცხოვრების ბოლომდე ჰქონდა ღია კარის შიში. უყვარდა თამაში, მაგრამ ვერ იტანდა წაგებას და ხშირად იტყუებოდა — ჭადრაკის თამაშის დროს ცდილობდა „მოკლული“ ფიგურების დაფაზე ჩუმ-ჩუმად დაბრუნებას. სამხედრო ნიჭის მიუხედავად, სუსტად თამაშობდა ჭადრაკს. 1809 წელს, ავსტრიელების დამარცხების შემდეგ, ვენაში, შონბრუნის სასახლეში, ავსტრიელ მექანიკოს იოჰან მელცერის საჭადრაკო ავტომატს, თურქს (Turk) ეთამაშა. საჭადრაკო ავტომატი უნგრელი ბარონის, ვოლფჰან ფონ კემპელენის მიერ იყო შექმნილი და შედგებოდა თურქულ სამოსში გამოწყობილი ადამიანის სიმაღლის მექანიკური თოჯინისგან, რომელსაც წინ დიდი ყუთი ედგა, ზემოდან ჭადრაკის დაფით. თამაშის დაწყებამდე ავტორი გამოაღებდა ყუთს და მაყურებელს სანთლის შუქზე აჩვენებდა მექანიზმს, რომელსაც შემდეგ გასაღებით აამუშავებდა. ნაპოლეონი დაინტერესდა ამ ავტომატით და რამდენიმე პარტია ეთამაშა. თამაშის დროს რამდენჯერმე სცადა „თურქის“ მოტყუება, ავტომატმა თავდაპირველად შეუსწორა ნაპოლეონს უკანონო სვლები და როცა იმპერატორმა კვლავ სცადა მოტყუება, გაწბილებულმა „თურქმა“საერთოდ წაართვა ფიგურა. ნაპოლეონმა რამდენიმე პარტია ითამაშა და ყველა წააგო. მან ისე დაასრულა სიცოცხლე, რომ გაიგო, სინამდვილეში, ყუთში დამალული იყო ტანმომცრო, მაგრამ ძლიერი მოჭადრაკე იოჰან ალგაიერი, რომელიც სარკეების მეშვეობით დაფას ხედავდა და მექანიკური ხელის მეშვეობით ფიგურებს ამოძრავებდა.

— თქვენი სამეცნიერო კვლევებიდან რომელს გამოარჩევდით?

— ახლახან დავასრულე სამტომეული რუსეთში ნაპოლეონის ლაშქრობის შესახებ, რომელშიც რუსულ და ფრანგულ საარქივო მასალებზე დაყრდნობით, ახლებურად წარმოვაჩინე ბევრი მოვლენა. თითქმის ათი წელია ვმუშაობ ამ სამტომეულზე. პირველმა ორმა ტომმა — ბოროდინოსა და ბერეზინას ბრძოლებმა, კარგი გამოხმაურება მიიღო. ბოროდინოს ბრძოლაზე წიგნმა წლის საუკეთესო წიგნის პრემიაც მოიპოვა. ორ კვირაში გამოვა მესამე ტომი, რომელიც 1812 წელს მოსკოვში დატრიალებულ მოვლენებს ასახავს. საარქივო მასალებსა და 200-ზე მეტ მემუარზე დაყრდნობით დავწერე. იმედია, მასაც კარგი გამოხმაურება ექნება. მართალია, დიდი არ არის, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ნაშრომი — უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში აქტიურად ვთანამშრომლობ აშშ-ს უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებთან, მათ შორის უმაღლეს სამხედრო აკადემიასა (ვესტ პოინტი) და უმაღლეს საზღვაო სამხედრო კოლეჯთან (ნიუპორტში). ლექციებს ვუკითხავ ამერიკელ ოფიცრებს. შარშან ამერიკის უმაღლესმა სამხედრო აკადემიამ გადაწყვიტა, სამხედრო ისტორიის შესახებ ახალი სახელმძღვანელო შეექმნა, რომელსაც წამყვანი სამხედრო ისტორიკოსები დაწერდნენ. წიგნის ელექტრონული ვერსია ყველა კადეტს ექნებოდა ატვირთული. ჩემდაგასაკვირად, აკადემიის მიერ შერჩეულ ისტორიკოსთა შორის ავღმოვჩნდი და ნაპოლეონის ომების ისტორიაზე დავწერე თავი. წიგნი მეორე სემესტრია, გამოიყენება ვესტ პოინტში. მუშაობის პროცესში იქ რამდენჯერმე ჩავედი, კადეტებს გავესაუბრე. ერთ-ერთ სემინარზე ქართველი ნიჭიერი ახალგაზრდა ოფიცერიც გავიცანი.

— ამჟამად რა პროექტზე მუშაობთ?

— რამდენიმე წიგნზე ერთდროულად ვმუშაობ. 7 წლის წინ გამოვეცი პირველი ინგლისურენოვანი ლექსიკონი საქართველოს ისტორიის შესახებ, რომელშიც 800-მდე სტატიაა და შარშან გამომცემელმა მთხოვა, განმევრცო. თითქმის დასრულებული მაქვს — ლექსიკონი უკანასკნელი 10 წლის მოვლენებსაც ასახავს და უკვე 900 სტატიას მოიცავს. ყველაზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევა კი ნაპოლეონის ომების ახალ ისტორიას ეხება. გადავწყვიტე, ნაპოლეონის ომების, როგორც გლობალური ფენომენის გამოკვლევა. ამ მიდგომით რამდენიმე წამყვანი ამერიკული და ბრიტანული გამომცემლობა დაინტერესდა, მაგრამ არჩევანი ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობაზე გავაკეთე და ამჟამად მისთვის ვამზადებ ნამუშევარს. დაახლოებით მესამედი მაქვს მზად. მიმოვიხილავ, მსოფლიო მასშტაბით რა ზეგავლენა იქონია ნაპოლეონის ომებმა. საქართველოზეც ვსაუბრობ.

— რა გენატრებათ ყველაზე მეტად?

— ოჯახი და მეგობრები... ეს განსაკუთრებით ვიგრძენი შარშან ზაფხულს — ამდენი წლის შემდეგ შევძელი საქართველოში ჩამოსვლა და ძველებურად მოვილხინე ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად.

— აპირებთ სამშობლოში დაბრუნებას? თქვენმა შვილებმა ქართული იციან?

— სამშობლოში დაბრუნებას ვაპირებ, მაგრამ ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი, კონკრეტულად როდის. ორი ბიჭი მყავს — ლუკა და სერგი. ზაფხულობით ბებია-ბაბუასთან ვუშვებ. ქართული იციან. სხვათა შორის, ბებია-ბაბუებმა ორივეს ჩოხა-ახალუხი შეუკერეს და გასული შობა-ახალიწელი ხანჯლების ტრიალში აღნიშნეს.

ეთერ მონასელიძე, sazogadoeba.ge

სუდოკუმანია

ადვილი

9		7	6			3	2	
		1	7					4
	6						8	
		5		4	9			
	7			6			9	
			8	7		5		
	5						6	
1					2	7		
	3	8			6	2		5

სტანდარტი

	8		7		6			
7				1		9		4
5	4					1		
					5	7		
			4		2			
		4	8					
		2					1	5
4		5		2				8
			6		9		2	

რთული

	2		1				6	
			8			7		
7		9					4	
			9			5	8	
				3				
	8	6			1			
	3					6		2
		8			9			
	6				4		7	

ექსპერტი

	2		5	6				
		1					5	6
7					8			
	5		6	2			1	9
3				8				4
6	9			4	3		2	
			7					2
2	4					1		
				9	2		6	

პეკინი სმოგმა დაფარა

ჩინეთის დედაქალაქში საგანგებო მდგომარეობა მას შემდეგ გამოაცხადეს, რაც იქნება მომწამლავი სმოგის სქელმა ღრუბელმა დაფარა — ჰაერში საშიში ნივთიერებების კონცენტრაციამ დასაშვებ ნორმას 20-ჯერ გადააჭარბა. ხელისუფლება მოსახლეობას მოუწოდებს, შეძლებისდაგვარად, სახლში დარჩნენ. ვისაც აუცილებლად სჭირდება სამსახურში წასვლა, ურჩევენ, დამცავი ნიღბების გარეშე შინიდან არ გავიდნენ. პეკინში სმოგის ისეთი ნისლია, არც მზე ჩანს და არც ცათამბჯენები. დახურულია ავტომაგისტრალებიც. პეკინში ეკოლოგიური მდგომარეობა წლიდან წლამდე უარესდება, თუმცა, ასეთი რამ, რამდენიმე წელია, აღარ ყოფილა. ჰაერის დაბინძურების პრობლემა პეკინელებს განსაკუთრებით ზამთარში უტევს, რაც ამ პერიოდში დიდი რაოდენობით ნახშირის წვას უკავშირდება. ეკოლოგები კი ხელისუფლებას ადანაშაულებენ იმაში, რომ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას სწირავს გარემოს დაცვას. დედაქალაქის ხელისუფლება ცდილობს, მზის შუქს მონატრებული მოსახლეობა გაამხნევოს და ქალაქის ცენტში ვირტუალური მზე დაამონტაჟა.

პოლიტიკოსებს გახდომისკენ მოუწოდებენ

დიდ ბრიტანეთში, პოლიტიკოსებს, რომლებიც ჭარბი წონით გამოირჩევიან, მოუწოდეს, წონაში დაიკლონ და ასე ხალხს მაგალითი მისცენ. შესაბამისი წერილი უკვე გაეგზავნა ნისლიანი ალბიონის ხელისუფლების ყველა წევრს და ეს კამპანია ქვეყანაში ჯანსაღი კვების პროგრამის ფარგლებში წამოიწყეს. მთავრობამ უკვე მიიღო გაფრთხილება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, ბრიტანეთში ჭარბი წონის მხრივ, მსოფლიოში ყველაზე საგანგაშო ვითარებაა. პოლიტიკოსებისადმი ასეთი მიმართვა უკვე მოიწონა ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრმა და პროექტის ორგანიზატორებს მხარდაჭერა აღუთქვა.

დანტისტს ლენონის კლონირება სურს

კანადელი სტომატოლოგი მაიკლ ჟუკი, რომელმაც ორი წლის წინ აუქციონზე „ბითლზის“ ყოფილის ლიდერის, ჯონ ლენონის ძირითადი (საღეჭი) კბილი იყიდა, აცხადებს, რომ სურს, ამ კბილის ქსოვილისგან დნმ-ის ნიმუში აიღოს და მუსიკოსის კლონირებისთვის გამოიყენოს. ჟუკმა ლენონის კბილი 2011 წელს, ლონდონის აუქციონზე, 19,5 ათას გირვანქა სტერლინგად (დაახლოებით 31 ათასი დოლარი) შეიძინა, შემდეგ მსოფლიოს კბილის კლინიკები და სტომატოლოგიური კოლეჯები მოიარა, ბოლოს კი „რელიქვია“ კაბინეტში გამოფინა — ლენონმა საკუთარი ხელით ამოღებული კბილი მოახლეს, დოტ ჯარლეტს მისცა, რომელიც კენვუდში გასული საუკუნის 60-იან წლებში მუშაობდა.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

4	9	5	3	2	1	8	7	6
7	8	6	9	5	4	2	3	1
3	1	2	8	7	6	5	4	9
5	7	1	2	8	3	9	6	4
2	6	3	1	4	9	7	5	8
9	4	8	7	6	5	3	1	2
6	2	4	5	3	8	1	9	7
8	5	9	4	1	7	6	2	3
1	3	7	6	9	2	4	8	5

სტანდარტი

8	7	2	3	6	1	5	9	4
1	6	5	2	9	4	3	8	7
4	3	9	8	7	5	6	1	2
7	9	6	4	8	3	2	5	1
5	1	4	9	2	6	8	7	3
3	2	8	5	1	7	4	6	9
9	5	3	7	4	8	1	2	6
2	4	1	6	5	9	7	3	8
6	8	7	1	3	2	9	4	5

რთული

4	3	9	2	6	5	1	8	7
7	6	8	4	3	1	5	2	9
2	5	1	9	8	7	6	4	3
9	4	3	8	2	6	7	5	1
1	2	7	5	9	4	8	3	6
6	8	5	1	7	3	4	9	2
5	1	6	3	4	9	2	7	8
8	9	4	7	1	2	3	6	5
3	7	2	6	5	8	9	1	4

ექსპერტი

2	7	6	5	4	1	9	3	8
4	3	8	2	9	7	6	1	5
1	5	9	8	3	6	7	2	4
7	6	5	9	2	8	1	4	3
3	1	4	7	6	5	2	8	9
9	8	2	4	1	3	5	7	6
8	4	1	6	5	2	3	9	7
6	2	7	3	8	9	4	5	1
5	9	3	1	7	4	8	6	2

ადვილი

9	1	4	8	2	3	7	6	5
7	3	2	5	6	9	4	1	8
8	6	5	4	1	7	3	2	9
6	2	3	1	5	8	9	7	4
5	9	7	3	4	2	1	8	6
4	8	1	7	9	6	5	3	2
3	7	9	6	8	5	2	4	1
2	4	8	9	3	1	6	5	7
1	5	6	2	7	4	8	9	3

სტანდარტი

9	3	2	1	8	6	7	5	4
8	6	5	4	9	7	2	3	1
1	4	7	2	3	5	9	6	8
3	5	4	9	2	8	1	7	6
2	1	9	6	7	4	3	8	5
7	8	6	5	1	3	4	2	9
4	2	3	8	6	1	5	9	7
6	9	1	7	5	2	8	4	3
5	7	8	3	4	9	6	1	2

რთული

3	2	1	9	6	8	7	5	4
5	9	4	1	3	7	2	8	6
6	8	7	5	4	2	3	1	9
9	5	2	8	7	4	1	6	3
1	7	6	3	2	9	8	4	5
4	3	8	6	5	1	9	2	7
2	6	5	7	1	3	4	9	8
7	4	9	2	8	6	5	3	1
8	1	3	4	9	5	6	7	2

ექსპერტი

2	1	8	5	7	9	6	4	3
9	7	6	4	2	3	5	1	8
5	4	3	8	6	1	2	9	7
1	9	7	6	8	2	3	5	4
8	6	5	3	4	7	1	2	9
4	3	2	1	9	5	8	7	6
7	5	4	2	3	8	9	6	1
6	8	1	9	5	4	7	3	2
3	2	9	7	1	6	4	8	5

მე-16 გვერდი: 1. ვინჩესტერი; 2. ვაზისუბანი; 3. ვასიუკი; 4. ნერონი; 5. ესაძე; 6. ტვინი; 7. ზაფხული; 8. სოლიტერი; 9. ბეატრიჩე; 10. ნეტო; 11. ფსორიაზი; 12. ალდონსა; 13. ტორეადორი; 14. ბულბული; 15. ფოლიანტი; 16. ანიკა; 17. ილინოისი; 18. ამბიცია; 19. მულინე; 20. პუანტები; 21. კლიო; 22. რალი; 23. იანი; 24. უსტარი; 25. ორე; 26. რიჩი; 27. სი; 28. ომერტა; 29. დია; 30. ბალატონი; 31. დიკენსი; 32. აგუნა; 33. ლაბადა; 34. ტორტი; 35. ნეაპოლი; 36. სომი; 37. დაირა; 38. სიდრი; 39. ნიასა; 40. ნეო; 41. ლასო; 42. ნადი; 43. სიო; 44. სინი; 45. ლიბერია; 46. ტაპიორი; 47. რიო; 48. ეტალონი; 49. არა; 50. ოვიედო; 51. აისი; 52. ფა; 53. ჰავაი; 54. მარადია; 55. ნორიო; 56. ასა; 57. ვარიანი; 58. ტორსიდა; 59. იფი; 60. დოჰიო; 61. ისლა.

ჰოროსკოპი
7 თებერვალი

ვერძი — შესაძლოა, მოულოდნელად გაუგებრობის მსხვერპლი გახდეთ ან თქვენთვის უჩვეულო ფუნქციების შესრულებამ მოგიწიოთ, თუმცა შეძენილი გამოცდილება კარიერულ წინსვლაში დაგეხმარებათ, დღის მეორე ნახევარი კი მეგობრებს დაუთმეთ.

კურო — დღე ბევრ საინტერესო მოვლენას გპირდებათ. შეხვედრები, ახალი ნაცნობობა და სხვადასხვა თემაზე საუბარი გელით. შეეცადეთ, არ ჩაერთოთ ხანგრძლივ დისკუსიებში და ზედმეტად ნუ ჩაუღრმავდებით რომელიმე თემას.

ტყუპები — ურთიერთობაში განსაკუთრებით ფრთხილი უნდა იყოთ — ვიღაცას სურს, გამოგიყენოთ და ავანტიურაში ჩაგითრიოთ. ნურავის მისცემთ საშუალებას, ისარგებლოს თქვენი კეთილგანწყობით, თავი აარიდეთ ნაჩქარევი, წინდაუხედავი ნაბიჯების გადადგმას.

კირჩხიბი — დღეს უამრავი საქმის კეთება მოგიწევთ, რამაც, შესაძლოა, ფსიქოლოგიური წონასწორობა დაგაკარგვინოთ, უგულოფრის მიტოვება და უბრალოდ, დასვენება გინდათ, მაგრამ ეცადეთ, ემოციები ნაკლებად გამოავლინოთ და ამით კოლეგებთან შესაძლო კონფლიქტს აარიდოთ თავი.

ლომი — მოთმინება და სიმშვიდე დაგჭირდებათ — გარშემომყოფები თქვენი დახმარების გარეშე ვერაფერს გახდებიან. ნუღარ გადადებთ საქმიან შეხვედრას — დროა, სამოძ.ავლო გეგმებზე დაფიქრდეთ და დასახული მიზნის მისაღწევად უველაფერი გააკეთოთ.

ქალწული — შესაფერისი დროა, ახალი საქმით დაკავდეთ, პირად ცხოვრებაშიც ცვლილებები მხოლოდ სიხარულსა და ჰარმონიას მოგიტანთ, რისთვისაც გაბედული ნაბიჯის გადადგმა მოგიწევთ.

სასწორი — დღეს უფროსობა საბოლოოდ დარწმუნდება თქვენს შესაძლებლობებში. კარგი დღეა ფინანსური საკითხების მოსაგვარებლად, შესაძლოა, შეხვდეთ გავლენიან ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

ღრიანკალი — შეხვედრებით დატვირთული დღე გელით, მოგიწევთ დისკუსიაში ჩაბმაც, შეეცადეთ, მსჯელობამ თანამოსაუბრეს თქვენი პერსონის მიმართ ინტერესი არ გაუქროს. დღის მეორე ნახევარი კი საკუთარ თავს მიუძღვენით.

მშვილდოსანი — დილადანვე დაიჭირეთ თადარიგი სტუმრების მისაღებად. დღეს ბევრი მოისურვებს თქვენთან შეხვედრას და საუბარს. ნუ იტყვით უარს დროის სასიამოვნოდ გატარებაზე საყვარელი ადამიანების კამპანიაში — ეს განტვირთვაში დაგეხმარებათ.

თხის რქა — მოულოდნელმა სტელეფონო ზარმა, შესაძლოა, გაუგებრობა გამოიწვიოს. მოგიწევთ სასწრაფოდ გამგზავრება, ვიღაცის შეცდომები რომ გამოასწოროთ. ალბათ, ეს არ მოგეწონებათ, მაგრამ სალამოს განწყობა რომ გამოიკეთოთ, საყვარელ ადამიანთან ერთად გაისეირნეთ.

მერწყული — მერწყულებს შეუძლიათ, დღე შესანიშნავად გაატარონ მეგობრებთან ერთად — ეს ძალების აღდგენაში დაგეხმარებათ, ახალი ენერგიით აგავსებთ და შემოქმედებითი პოტენციალით დაგტვირთავთ. რთული საქმეებისგან კი თავის გარიდება სჯობს.

თევზები — ეცადეთ, თავი აარიდოთ კამათს, განსაკუთრებით საყვარელ ადამიანთან. ნებისმიერმა გაუფრთხილებელმა სიტყვამ, შესაძლოა, თანამოსაუბრის წყენა გამოიწვიოს. დღის მეორე ნახევარში მოსალოდნელია რომანტიკული შეხვედრა ან ახალი ნაცნობობა.

სვიტერი ფერს განწყობის შესაბამისად იცვლის

ამერიკელმა დიზაინერებმა მაღალი ტექნოლოგიები ტანსაცმელშიც გამოიყენეს და სვიტერი შექმნეს, რომლის საყელოც, პატრონის განწყობის მიხედვით, ფერს დღეში რამდენჯერმე იცვლის. ახალი პროდუქცია სან-ფრანცისკოში არსებულ კომპანიაში შენსორეე შეიქმნა. საყელოს ფერი მაშინ იცვლება, როდესაც სპეციალური სენსორები აფიქსირებს, რომ მომხმარებლის გუნება შეიცვალა. მაგალითად, თუ საყელო მწვანე ფერს იღებს, ესე იგი, სვიტერის პატრონი მშვიდადაა, თუ იისფერი შეფერილობა მიიღო — აღელვებულია, წითელი ფერი კი მიანიშნებს, რომ საკმაოდ ნერვიულობს. თუ საყელო გაყვითლდა — ეს პატრონის აღფრთოვანებაზე მიუთითებს. როგორც ირკვევა, ამ მაღალტექნოლოგიურ სვიტერს შეძენის საკმაოდ ბევრი მსურველი გამოუჩნდა, თუმცა, ჯერჯერობით, გაყიდვაში არ არის და არც ფასია ცნობილი.

მანიკური კარგ განწყობას გვიქმნის

მიუხედავად მსოფლიოში არსებული ეკონომიკური არასტაბილურობისა, სილამაზის სალონებს კლიენტები არ აკლია. მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ყოველთვის ცდილობენ, უნაკლოდ გამოიყურებოდნენ და სილამაზის შენარჩუნებაზე ფულს არ ზოგავენ. ცოტა ხნის წინ ჩატარებული კვლევის თანახმად, მანიკური სალონებში დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან ასეთ მომსახურებაზე ბევრ მანდილოსანს მიუწვდება ხელი, ამ პროცედურის შემდეგ კი ისინი კომპლიმენტებს იღებენ, რაც მათ განწყობაზე დადებითად აისახება — აკურატული და დამუშავებული ფრჩხილები დადებით ემოციებს იწვევს.

ჰოროსკოპი
8 თებერვალი

ვერძი — შემოსავალი მოსალოდნელზე მეტი იქნება, რაც ძალიან გაგახარებთ. კარგი დღეა დაწეებული საქმეების მოსაგვარებლად, თუმცა ახალი ხელშეკრულების ხელმოწერისგან თავი შეიკავეთ.

კურო — საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება პოზიტიურ ტენდენციებს გამოიწვევს და მატერიალური მდგომარეობაც საგრძნობლად გაუმჯობესდება. შეეცადეთ, დაგროვილი პრობლემების მოგვარება ნელ-ნელა დაიწყოთ.

ტყუპები — ფინანსურ მდგომარეობაზე უნდა იზრუნოთ — არის რისკი, რომ მსხვილი თანხა დაკარგოთ ფულის გაუაზრებელი დაბანდებით ან საბუთების არასწორად გაფორმებით. გაითვალისწინეთ პროფესიონალების რჩევები. დღის მეორე ნახევარში პოზიტიური ფონი მატულობს.

კირჩხიბი — სასიამოვნო და საინტერესო ღონისძიებაზე დაგპატიჟებენ, სადაც წარმატება გელით, ამიტომ უარს ნუ იტყვით შემოთავაზებაზე — იქ ნახავთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

ლომი — არ არის გამორიცხული, დღის გმირად იქცნეთ — თქვენს მიერ გაწეული დახმარება სასიამოვნოდ გაოცებს გარშემომყოფებს, თუმცა ამავე დროს საკუთარი თავიც არ დაივიწყოთ და გაითვალისწინეთ, რომ ხანდახან საქმეებისგან განტვირთვაა საჭირო.

ქალწული — მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა რთულია, მაგრამ დღეს შესანიშნავად გაართმევთ თავს ამ ამოცანას, მთავარია, მხოლოდ ინტელექტისა და ინტუიციის კი არა, ახლობლების თანადგომის იმედი გქონდეთ.

სასწორი — წონასწორობას ვერავინ და ვერაფერი დაგაკარგვინებთ — რაც უნდა გაბიძგონ კონფლიქტზე, რაც უნდა გაიძულონ, არაადეკვატურად მოიქცეთ, ემოციებს მაინც გააკონტროლებთ. მნიშვნელოვანი იქნება უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთის შეძენის საკითხი.

ღრიანკალი — დროში მოგზაურობა გელით და მოგონებებს ვერსად გაექცევით. რეალური წარმატების მისაღწევად მეტი მოქმედება და ნაკლები საუბარი მოგიწევთ.

მშვილდოსანი — ყოველკვარი ძალისხმევის გარეშე ვითარებას ისე შემოაბრუნებთ, წარმატება თვითონ ჩაგივარდებათ ხელში, თუმცა ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ ზედმეტად არ გაჯიუტდებით.

თხის რქა — დღეს საკმაოდ ბევრი ცდუნება გელით. მეგობრები და ნაცნობები საეჭვო ღონისძიებებზე დაგპატიჟებენ. შეეცადეთ, თავი ხელში აიყვანოთ, მოიფიქროთ და გააანალიზოთ საკუთარი ქმედებები ან მოძებნეთ საინტერესო საქმე, რომელიც პროფესიულ ზრდას დაგვიწყებთ.

მერწყული — ვარსკვლავები გირჩევენ, საოჯახო საქმეებით დაკავდეთ — ღონისძიებაზე დასწრება და სტუმრად წასვლა კი შესაფერისი დროისთვის გადადეთ.

თევზები — მოულოდნელად მიღებული ცნობა გაგანერვიულებთ, მაგრამ ეს მდელვარება სასიამოვნო იქნება, რადგან ახალი პერსპექტივები იშლება, რაც თქვენს ცხოვრებას კარდინალურად შეცვლის. ფინანსურ ოპერაციებში წარმატება გელით.

მოწევა იმპოტენციას იწვევს

ამერიკელმა მედიკოსებმა გააფართოვეს იმ დაავადებათა სია, რომელთა პროვოცირებასაც მოწევა ახდენს. ამჯერად ჩამონათვალს დაემატა სიბრმავე, მეორე ტიპის დიაბეტი, სწორი ნაწლავისა და ღვიძლის კიბო, რევმატოიდული ართრიტი და იმპოტენცია. ბოლო გამოკვლევებით დადგინდა, რომ მოწევამ, შესაძლოა, გამოიწვიოს სიბრმავის ისეთი ფორმა, რომელიც ასაკობრივი მანიკულარული დეგენერაციის სახელითაა ცნობილი. გარდა ამისა, მწეველებს ემუქრება ტუბერკულოზი, იმოპტენცია, ართრიტი და იმუნური სისტემის დაქვეითება, — აღნიშნულია ამერიკელი სწავლულების მოხსენებაში. მეცნიერთა გათვლით, წლეულს, თამბაქოს მოწევასთან დაკავშირებული დაავადებების გამო, ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპება და მდგომარეობა თუ არ შეიცვალა, 5,6 მილიონი ბავშვი და მოზარდი უფროს ასაკში სწორედ მოწევის შედეგად განვითარებული დაავადებების გამო გარდაიცვლება.

ეკონათურას ბაქტერია ამუშავებს



ვისკოსინის უნივერსიტეტის სტუდენტები დაფინანსების წყაროს ეძებენ, საკუთარი, მეტად საინტერესო გამოგონების წარმოება რომ დაიწყონ. მათი ნამუშევარი ეკოლოგიურად სუფთა ნათურებია, რომელსაც არ სჭირდება ელექტროენერგია — ეს ინოვაციური გამოგონება, „საწვავად“ სპეციალურ ბაქტერიებს იყენებს, რომლებიც ანათებს. „ბიოლამპების“ შემქმნელები გამოგონებას „ქილაში მოქცეულ ეკოსისტემას“ უწოდებენ, შუქს კი ლაბორატორიულ პირობებში გამოყვანილი ნაწლავური ჩხირები იძლევა, რომელიც ბიოინჟინერიის წყალობით გახდა მანათობელი. რაკიღა თავად ნაწლავურ ჩხირებსაც სჭირდება კვება, ნათურაში სხვა ორგანიზმებიც მოათავსეს და ამგვარად ერთგვარი დახურული ეკოსისტემა შექმნეს, სადაც ყოველი ორგანიზმი საკუთარ როლს შეასრულებს. ახალგაზრდა გამომგონებლები ამბობენ, რომ ზოგიერთი ექსპერიმენტის შედეგად, ისინი შეეცდებიან, ბაქტერიებმა სხვადასხვა ფერის შუქით გაანათონ.

სუდოკუ

ადვილი

	8		5			6		
1				2			9	8
3								
6	4		9			1		
2								9
		8			4		3	2
								5
7	9			5				6
		2			8		1	

სტანდარტი

		9	2					
		6	5		3			
				4			9	6
9	7							3
8	3						5	9
5							2	1
3	4			1				
			8		5	4		
					6	9		

რთული

8		1		7	6		3	2
				1				
	5		8	3				
7	8	5						
4								9
						8	7	3
				6	7		4	
				8				
9	2		1	4		7		8

ექსპერტი

		3	4	6			7	1
	2		1			8		
6					2		9	
		2					4	
				5				
	7					1		
	6		3					8
		7			6		5	
9	3			8	4	6		

ვოროსკოვი
9 თებერვალი

ვერძი — შეიძლება შეხვდეთ ადამიანს, რომელიც ბევრ პრობლემას მოგიგვარებთ, დროისა და ფულის მინიმალური ხარჯით, თუმცა არ არის გამორიცხული, ეს ახალი ნაცნობი, უბრალოდ, თაღლითი აღმოჩნდეს.

კურო — გარშემომყოფებთან მოთმინების გამოვლენა მოგიწევთ, ნებისმიერი უთანხმოება ან წამოსროლილი სიტყვა თქვენს „აფეთქებას“ გამოიწვევს, რის გამოც, გარშემომყოფებიც დაზარალდებიან.

ტყუპები — ტეუპებისთვის მნიშვნელოვანია, მაღაზიებში სასაარულოდ განეწყონ. შესაძლოა, არ ფიქრობთ რაიმე სერიოზულის შეძენას, მაგრამ ისეთ ნივთს აღმოაჩენთ, რომელზეც კარგა ხანია ოცნებობთ.

კირჩხიბი — სასიამოვნო სიურპრიზი გელით. ეურადღებით იყავით და ეცადეთ, არ გამოგრჩეთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელსაც თქვენს ცხოვრებაში გარკვეული ცვლილებების შეტანა შეუძლია.

ლომი — გულმავიწყობამ, შესაძლოა, რეპუტაცია შეგიელახოთ. თუ ვინმეს რამეს პირდებით, ჩაინიშნეთ, რადგან არის რისკი, რომ უბრალოდ, დაგავიწყდებათ. არ არის გამორიცხული მატერიალური დანაკარგიც.

ქალწული — თუ დღეს ძიებით დაკავდებით, აუცილებლად იპოვით იმას, რასაც ეძებდით, თუმცა არ ღირს გრანდიოზული გეგმების დაწყობა ან თივის ზვინში ნემსის ძებნა.

სასწორი — უველაფრის კეთება გზადაგზა მოგიწევთ და ფიქრის დრო აღარ გექნებათ. ნუ შეეცდებით უველაფრის ერთად მოსწრებას. საზრუნავის ნაწილი სანდო ადამიანს გადააბარეთ და მას თვალს ნუ მოაშორებთ.

ღრიანკალი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს, შესაძლოა, სამეარო მოსაწვენი მოეჩვენოთ და ეს მანამ გაგრძელდება, სანამ ვითარების შეცვლის ინიციატივას არ გამოიჩენთ. არ ინერვიულოთ, უველაფერი გამოგივათ, მაგრამ სჯობს, ცვლილებების განხორციელება პირადი ცხოვრებიდან დაიწყოთ.

მშვილდოსანი — ფსიქოლოგის, ადვოკატის ან დამრიგებლის როლის მორგება მოგიწევთ, რადგან თქვენს ერთ-ერთ ახლობელს მორალური მხარდაჭერა და საქმიანი რჩევა დასჭირდება.

თხის რქა — ამ ნიშნის წარმომადგენლები სწორედ ახლა მიაღწევენ მნიშვნელოვან უპირატესობას კონკურენტებთან. აუცილებლად დაგეჭირდებათ სიფრთხილისა და აკურატულობის გამოვლენა. ნუ იჩქარებთ საკუთარი აზრის გამოხატვას, შემდეგ კი თავდაჯერებულად იმოქმედეთ.

მერწყული — მოგეჩვენებათ, რომ საეკარელი ადამიანი რადაცას გიმალავთ და ახალი გატაცება აქვს, სინამდვილეში კი, ეს მხოლოდ თქვენი ფანტაზიის ნაეოფია, რომელიც სულ მალე უკვალოდ გაქრება.

თევზები — თევზებმა დღეს უფრო მეტი ეურადღება ოჯახის წევრებს უნდა დაუთმონ. შეეცადეთ, მათთან მაქსიმალურად გულწრფელი იეოთ. რაც უფრო გულღია იქნებით ახლობლებთან, მით მეტად შეგიძლიათ გქონდეთ მათი მხარდაჭერის იმედი.

„სამოთხე ბორბლებზე“ ლოთებისთვის

ლას-ვეგასის მცხოვრებლებსა თუ სტუმრებს შეუძლიათ, ამიერიდან, იმდენი შესცოდონ, რამდენიც მოესურვებათ — სულ ერთია, ისინი მაინც „სამოთხეში მოხვდებიან“ და ცოდვებსაც მოინანიებენ, თანაც ეს ყველაფერი 130 ან 200 დოლარი დაუჯდებათ. თუმცა, უნდა ვთქვათ, რომ აქ საუბარია არა სიკვდილ-სიცოცხლეზე, არამედ ლოთობის შემდეგ სასწაულებრივ გაჯანსაღებაზე. საამისოდ ლას-ვეგასში უჩვეულო სამსახური გაჩნდა, სახელწოდებით Hangover Heaven, რომელიც ერთი დიდი ცისფერი ავტობუსია და შექმნილია „დაავადებების აღმოსაფხვრელად“. ამ უნიკალური პროექტის ხელმძღვანელი სერტიფიცირებული ექიმი-ანესთეზიოლოგი ჯეისონ ბიორკია და ის ალკოჰოლისშემდგომი სინდრომის მკურნალობის სპეციალისტად მიიჩნევა. „სამოთხის ავტობუსი“ პაციენტებს ლას-ვეგასის მთავარი ოტელებიდან იყვანს. მანქანის სალონში მოწყობილია დასასვენებელი ოთახი, რამდენიმე საძინებელი, დიდი, რბილი დივანი და აბაზანა. მსურველებს ავტობუსით 45-წუთიან სასიამოვნო გასეირნებას სთავაზობენ, რომლის შემდეგაც ბახუსის კვალიც აღარ რჩება. მომსახურება ყოველდღიურია, დილის 8-დან დღის 3 საათამდე და ყოველ პაციენტს შეუძლია რეაბილიტაციის ორი სახეობიდან ერთ-ერთი აირჩიოს — „გამოსყიდვა“ (ვენური ჰიდრატაცია) ან „გადარჩენა“ (ვენური ჰიდრატაცია, ღებინების, ანთების საწინააღმდეგო პრეპარატებისა და ვიტამინების მიღება). კლიენტს შეუძლია „სამოთხეს“ ტელეფონით ან საიტით დაუკავშირდეს და ვეგასის ნებისმიერ კუთხეში მიაკითხავენ, თერაპიის შემდეგ კი იმავე ადგილზე ჩამოსვამენ, საიდანაც წაიყვანეს.

ქვეყანა ყველაზე სასარგებლო საკვებით

ყველაზე მრავალფეროვანი და სასარგებლო საკვების ქვეყნად ნიდერლანდები დასახელდა, რომელმაც რეიტინგში საფრანგეთსა და შვეიცარიას აჯობა. ჰოლანდიამ შეძლო კარგი ბაზრის ჩამოყალიბება, რომელიც მის მცხოვრებლებს საშუალებას აძლევს, საკმარისი სასარგებლო საკვები მიიღოს, ფასებიც საკმაოდ დაბალი და სტაბილურია, ხოლო ადგილობრივების საკვები — ბალანსირებული, — განაცხადეს საქველმოქმედო ორგანიზაციის Oxfam სპეციალისტებმა. ტოპ-ოცეულში ევროპული ქვეყნები დომინირებენ, მათ შორისაა ავსტრალიაც, აშშ და იაპონია კი მხოლოდ 21-ე ადგილს იყოფენ. ამერიკელების ასეთი დაბალი პოზიცია იმით აიხსნება, რომ ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროდუქტის მიუხედავად, ქვეყანაში საკმაოდ დიდია ჭარბწონიანთა და დიაბეტით დაავადებულთა რიცხვი. 125-წევრიან სიაში, ბოლო ადგილზე აღმოჩნდა აფრიკული ჩადი, რომელიც ოდნავ ჩამორჩა ანგოლასა და ეთიოპიას. Oxfam რეიტინგს იმ მაჩვენებლების საფუძველზე ადგენს, რომელიც განსაზღვრავს კვების პროდუქტის რაოდენობას, ხარისხსა და ხელმისაწვდომობას ყოველ ქვეყანაში; ასევე ითვალისწინებს, რამდენად ჯანსაღია ეს საკვები, პროდუქტის მრავალფეროვნებას, სასმელი წყლის მიღების შესაძლებლობას და ისეთ დაავადებებს, როგორიც სიმსუქნე და დიაბეტია.

და-ძმებს დაბადების საერთო დღე აქვთ

კამპრიის საგრაფოში მცხოვრები ემილი სკრუგამი და პიტერ დანი, შეიძლება ითქვას, მსოფლიოში ყველაზე იღბლიანი მშობლები არიან — მათ ოთხი შვილი ჰყავთ და ისინი სხვადასხვა წლის ერთსა და იმავე თვესა და რიცხვში დაიბადნენ. და-ძმები ამ ქვეყანას ერთ დღეს — 12 იანვარს მოევლინნენ. 5 წლის სემი, 2 წლის ტყუპები — ბრუკი და ნიკოლი და ახალშობილი რაიანი სწორედ ამ დღეს გაჩნდნენ. ასეთ დამთხვევას გინეკოლოგები იღბალს მიაწერენ. ყველა ბავშვი სხვადასხვა დროს უნდა დაბადებულიყო, მაგრამ რატომღაც ყველამ 12 იანვარი „აირჩია“, — ამბობს ოჯახის დედა და დასძენს, — სემი 2 კვირის დაგვიანებით დაიბადა, ტყუპები — ერთი თვით ადრე, რაიანი კი 3 დღის დაგვიანებით. წარმოიდგინეთ, ოთხივე შვილის დაბადებას ერთ დღეს ვზეიმობთ.

1. ბილიარდის ყვითელი ბურთი
2. მრავალხმიანობა
3. ეკლესიაში ახლად მოსულთა სასწ. წიგნი
4. უკრაინის პარლამენტი
5. ძველი ხელნაწერი
6. ტექნიკური ზეთი
7. პორტუგალიის დედაქალაქი
8. ხის თხელი ფიცარი
9. კალათბურთის გამომგონებელი
10. რახმანინოვის ოპერა
11. უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე
12. შხამიანი გომბეშო
13. ებრაელის მოსახსენიებ. სიტყვა ბიბლიაში
14. მუსლიმანთა წმინდა ტაძარი
15. სოკრატეს აშარი ცოლი
16. ოთარ ჭილაძის რომანი
17. ფრჩხილის ლაქის მოსაცილებ. სითხე
18. რუსეთის კოსმოდრომი ყაზახეთში
19. საყანედ გაკაფული ტყე
20. საკონდიტრო ნაწარ. ქართ. ფირმა
21. ქალაქი რუსეთში
22. მდინარე ყაზახეთში
23. მქუხარე აპლოდისმენტები
24. ლონდონის საქმიანი ცენტრი
25. პოეტი ... ჭანტურია
26. ჰექტრის მეასედი
27. ებრ. წინასწარმეტყ.
28. ადამიანის სამეტყველო ორგანო
29. ქართული ჟურნალი
30. ტაივანის დედაქალაქი
31. ცნობილი შადრევანი რომში
32. ანტუან დე ... ეკზიუპერი
33. სამხედრო ფორმის ქურთუკი
34. პროტესტანტების მღვდელი
35. იაპონიის თვითსახელწოდება
36. ევროპული ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში
37. ცალკეული მოძრ. სპორტის სახეობებში
38. დეზდემონას მეუღლე
39. წერილის უცნობი ავტორი
40. კათოლიკური ეკლესიის მეთაური
41. დიდი ესპანელი ფერმწერი
42. სასვენი ნიშანი
43. ლეო დელიბის საბავშვო ბალეტი
44. მუსიკალური გამის V ნოტი
45. სინათლე ბავშვის ენაზე
46. კვერცხის ფორმა
47. ხვიარა ბალახოვანი მცენარე
48. სახმარად გამოუსადეგარი, მაგრამ ნედლეულად ვარგისი ნივთები
49. ჯუჯა ცხენი
50. მიმართვა ინგ. მამაკაცისადმი
51. ლიტვის ეროვნული ვალუტა
52. გაზაფხულის ყვავილი
53. აპოლონის და არტემიდეს დედა
54. ფანჯიკიძის რომანი „მეშვიდე ..."
55. სოფელი თუშეთში
56. ხელოვ. მფარველი რომაული ქალღმერთი
57. ბილიარდის ჯოხი
58. გრიბოედოვის „... ჭკუისაგან"
59. ლიტ. ნაწარმოების შესავალი ნაწილი
60. რუსი პოეტი ... ჩუკოვსკი
61. ნიკო ლომოურის მოთხრობა
62. ქართ. ფარმაცევტული კომპანია
63. ღვინის ობი
64. ინდონეზიის კუნძული
65. საბუთი, რომელიც ადასტურებს რაიმეთი სარგებლობის უფლებას



გთხოვთ დარეკოთ

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას" სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე"

„ყოველთა დედოფალი პანტანასას" ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დილის 2 საათზე, ალვლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღსრულდება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი" ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი" კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპრაისალი" გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მენიჯერები: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.